

ვიქტორი

სანაევი

VIKTOR SANEEV

პაატა ნაცვლიშვილი

ქართული ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
პაატა ნაცვლიშვილი

TEXT
Paata Natsvlishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ქელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი,
www.sportphoto.ge


PHOTO
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili,
Jemal Kasradze, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Athletics Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3436-7

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



პიქტორ სანაევი

2011




ერთი ასეთი სპორტსმენი მარტოდმარტო შეუქმნის ნებისმიერ ქვეყანას სპორტულ პრესტიჟსა თუ ისტორიას. ღვთის ნყალობით, საქართველოს დიდი სპორტსმენები, დიდი ჩემპიონები მუდამ ბევრი ჰყავდა, მაგრამ ვიქტორ სანეევი დიდ ჩემპიონთა ფონზეც კი გამოირჩევა. სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი ყველაზე მაღალი სპორტული ჯილდოა; სპორტსმენებიც განსაკუთრებული ჟინით და განსაკუთრებული შემართებით მიელტვიან ამ მწვერვალს. მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონიც ყველა თავის მედალს სიამოვნებით გაცვლიდა ერთ ოლიმპიურ „ოქროში“, რადგან ათგზის მსოფლიო ჩემპიონიც ადრე თუ გვიან ექს-ჩემპიონი გახდება, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული კი „ექს“ პრეფიქსს არასოდეს დაირთავს: ოლიმპიური ჩემპიონი უკვდავი ჩემპიონია, მარადიული ჩემპიონი.

ვიქტორ სანეევი სამგზის უკვდავი ჩემპიონი გახლავთ.

მე მქონდა ბედნიერება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესში, მისი საქმიანობის პირველ წლებში ახლოს გამეცნო ეს უდიდესი სპორტსმენი, რომლის შესახებ მეგონა, რომ ყველაფერი ვიცოდი. ზოგიერთი რიგითი ჩემპიონის ამბიციურობისა და პატივმოყვარეობის ფონზე არ შეიძლება არ მოგხიბლოს ვიქტორ სანეევის თავმდაბლობამ, მისმა ინტელექტმა და კულტურამ, უშუალოდ და სისადავემ. იშვიათია სანეევისთანა მორიდებული ადამიანი; მასთან უშუალო ურთიერთობისას ძნელი წარმოსადგენია, რომ ელაპარაკები ვიქტორ სანეევს, მსოფლიო სპორტის ერთ-ერთ ლეგენდას, ათლეტს, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ იყო დასახელებული მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საუკეთესო მძლეოსნად თუ სპორტსმენად და რომლის სახელიც მთელი 12 წლის განმავლობაში — ოთხი ოლიმპიადის მანძილზე — შიშის ზარს სცემდა მეტოქეებს და პატივისცემის გრძნობით აღავსებდა სპორტის გულშემატკივრებს მთელ პლანეტაზე.

* * *

დღეს ვიქტორ სანეევი ავსტრალიაშია; იქ მუშაობს, იქ ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. წავიდა არა სახელისა და დიდების საქებნელად ან ქონების მოსახვეჭად. სახელი და დიდება მას არასოდეს კლებია, ქონება კი არასოდეს ჰქონია და არც არასოდეს უძებნია. წავიდა, რადგან ვერც ასეთი სოხუმი და აფხაზეთი იგუა და ვერც ასეთი თბილისი და საქართველო. სანეევი წავიდა, რათა თავისი საქმე აკეთოს, თავისი უზარმაზარი სპორტული გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდებს, მათ, ვისაც ეს სურთ. წავიდა, რადგან თავის სამშობლოში, პოლიტიკური კატაკლიზ-





მებითა თუ ეკონომიკური კრიზისით თავგზააზნეულ და დაბეჩავებულ საქართველოში არ მიეცა ამის საშუალება.

* * *

მოსკოვის ოლიმპიადა ვიქტორ სანეევის უკანასკნელი ოლიმპიადა იყო, მისი უკანასკნელი გამოსვლა სარბიელზე. იმ დროისათვის ის უკვე წევრი იყო მძლეოსანთა იმ დიდი ოთხეულისა, რომელშიც მასთან ერთად შედიოდნენ სამი სახელგანთქმული ამერიკელი — რეი იური, ჯონ ფლანაგენი და ალფრედ ორტერი, ვინაც სამი და მეტი ოლიმპიური „ოქროს“ მოპოვება შეძლო მძლეოსნობის ერთსა და იმავე დისციპლინაში.

სანეევის უკანასკნელი ნახტომი მოსკოვის ოლიმპიადაზე და საერთოდ, მის სპორტულ კარიერაში — 17 მეტრი და 24 სანტიმეტრი — საჩემპიონო იყო, მაგრამ მსაჯთა მეტისმეტი მონდომეების წყალობით მხოლოდ ვერცხლის მედალს გასწვდა!

სამ საბჭოთა სამმხტომელს — 22 წლის ევგენი ანიკინს, 25 წლის იაკ უუდმიაესა და 35 წლის ვიქტორ სანეევს წინა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, 26 წლის ბრაზილიელი ჟოაო კარლოს დე ოლივეირა უპირისპირდებოდა. ოლივეირა საუკეთესო ფორმაში იყო, სანეევს ტრავმეები სტანჯავდა და ბოლო ხანებში მისი საკადრისი შედეგისთვის ვერ მიელწია; ხოლო ანიკინი და უუდმიაე გამოუცდელეები იყვნენ ასეთ სერიოზულ დონეზე საბრძოლველად. მსაჯებს კი ყველაფერი უნდა ელონათ, რომ გამარჯვება სწორედ საბჭოთა სპორტსმენს დარჩენოდა. ვის და როგორ დაეხმარებოდნენ, მათ თავად უნდა გადაეწყვიტათ. ასეთი იყო დავალება. ანიკინი ცუდად ხტებოდა და ის თავიდანვე გამოირიცხა. მსაჯებს ფავორიტი თბილისელ სანეევსა და ტარტულ უუდმიაეს შორის უნდა აერჩიათ. ჩანს, ისინი აღარ ენდნენ 35 წლის ვეტერანს და უუდმიაეს მესამე ცდაზე კარგა ბლომად წაუმატეს, ისე ბლომად, რომ მსაჯთა უსინდისობა არათუ თავად სპორტსმენებმა და სტადიონზე შეკრებულმა გულშემატკივრებმა, ტელემყურებლებმაც კარგად დაინახეს.

უუდმიაეს 17 მეტრითა და 35 სანტიმეტრით სისტემამ თავისი გაინაღდა. ესტონეთ-საქართველოსა თუ უუდმიაე-სანეევის სპორტული დავა მას აღარ აინტერესებდა და ორტერის რეკორდის გამეორეებასაც არად დავიდევდათ. მეტიც: სისტემას სულაც არ სურდა სანეევი ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონად ეხილა. სანეევმა სისტემას არ გაუმართლა, თუმცა იგი დიდხანს ელოლიავებოდა მას.

სისტემის მიერ შორს გამიზნული ნაბიჯი იყო, რომ 22 წლის პერსპექტიული მხტომელი უკვე 1967 წელს დააჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, თუმცა სერიოზული სპორტული წარმატებისათვის ჯერ არ მიელწია.

„მე კარგად მესმოდა, რომ ასეთ ჯილდოს არ ვიმსახურებდი. დაჯილდოებულთა შორის იყო ხალხი, ვინც მთელი ცხოვრება შესწირა სპორტს, აგრეთვე ცნობილი სპორტსმენები, ევროპის ჩემპიონები, ოლიმპიადათა პრიზიორები. მე კი იმ დროისათვის ქვეყნის ჩემპიონიც არ ვყოფილვარ. ამიტომ ეს ჯილდო ავანსად მივიღე.“

სისტემას სანევი იმთავითვე სათავისოდ უნდოდა, სარუსეთოდ, სამოსკოვოდ. არც ჯილდო დაუკლიათ მისთვის და არც დაპირება. რასაც საქართველოში უშედეგოდ ითხოვდა, ათჯერ იმაზე მეტს მოსკოვში სთავაზობდნენ. ის კი ჯიუტად უარზე იდგა. არც სოხუმიდან მოუცვლია ფეხი, არც თბილისიდან, არც საქართველოდან. კი, საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდა, მაგრამ საკავშირო ნაკრებში მუდამ საქართველოს წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირის პირველობებსა თუ საკავშირო სპარტაკიადებში კი საქართველოს ღირსებას იცავდა. და ასე გრძელდებოდა ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე. სისტემამ თავისი ვერ გაიტანა. ვერ გაიტანა და სანევისთვის ბოლო ოლიმპიადაზე როგორც შეეძლო, ისე გადაუხადა სამაგიერო.

* * *

1996 წლის მარტში ათენში თანამედროვე ოლიმპიადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო კვირეული გაიმართა. კვირეულის პროგრამით ჩატარდა აგრეთვე დიდი ფილატელისტური გამოფენა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, როგორც საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაციის პრეზდენტი. მაშინ იყო, რომ მრავალი ფილატელისტი გავიცანი, რომელთაც სპორტული და ოლიმპიური მარკების მართლაც უნიკალური კოლექციები ჰქონდათ. მათ შორის გახლდათ სომეხი კოლექციონერი იური კუპალიანი. მისი კოლექციის თემა „მთები და მთამსვლელობა“ იყო და ჩემი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რადგან გარკვეული კუთხით საქართველოსაც უკავშირდებოდა. სწორედ ამ ნიადაგზე დავახლოვდით და ერთდღიან ექსკურსიაზეც კი დავპატიჟე სარონიკოსის და არგოლიკოსის ყურეთა კუნძულებზე — ჰიდრაზე, ეგინასა და პოროსზე. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა, რა თქმა უნდა, სპორტული ფილატელია და ზოგადად სპორტი იყო. როგორც გაირკვა, იური კუპალიანი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ყოფილა მძლეოსნობაში. თურმე მოსკოვის ოლიმპიადაზეც უმსაჯია. თანაც სწორედ სამხტომი!

ჰოდა, ამ იური კუპალიანმა ჩემთან მეგობრულ საუბარში აღიარა, რომ ვიქტორ სანევის მოსკოვური „მარცხი“, თუ ოლიმპიურ ვერცხლის მედალს მარცხი შეიძლება ეწოდოს, გარკვეულწილად სწორედ მსაჯთა და პირადად მის კისერზეც იყო.



დიახ, იყო ბრძანება და უუდმიაეს კარგა ბლომად წავეუმატეთო, მითხრა. ახლა ძალიანაც ვნანობ, მაგრამ რალა გაეწყობაო!

ვისგან იყო ის ბრძანება-მეთქი.

ვისგან მოდიოდა, არ ვიცი, ჩვენ მთავარმა მსაჯმა გვიბრძანაო.

სანევეისთვის რომ წაგემატებინათ, განა საბჭოთა კავშირისთვის რა შეიცვლებაოდა-მეთქი.

არც არაფერი, მაგრამ ასე ალბათ იმიტომ გადაწყდა, რომ სანევეი ყველაზე ბოლო ხტებოდა და ამის გაკეთება გაცილებით ძნელი და სარისკო იქნებოდაო.

მისი გულწრფელობა და სინანული იქნებ გარკვეულ სიმპათიასა და თანაგრძნობასაც იმსახურებდა, მაგრამ ექსკურსიაზე დროსტარება კი არა, იმ წუთში მზად ვიყავი იური კუპალიანი — სისტემის ეს ერთი ჭანჭიკი — ეგეოსის ზღვაში მომესროლა. და თუ ეს არ გავაკეთე, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავისი ამ აღიარების პრესაში გამოქვეყნების უფლება მომცა... ათი წლის შემდეგ.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაფერი ახალი სომეხ ფილატელისტს ჩემთვის არ უთქვამს. უბრალოდ, მან კიდევ ერთმა და კიდევ ერთხელ „შინაურულად“ დაადასტურა ის, რაც სპორტული, და არა მარტო სპორტული, სამყაროსთვის კარგად იყო ცნობილი მთელ მსოფლიოში.

კუპალიანის 10 წელიწადი უკვე გავიდა. დიდი იყო ცდუნება, რომ მისი აღიარება ამ ვადის გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე, 2005 წლის ოქტომბერში გამომექვეყნებინა ვიქტორ სანევეის საიუბილეო დღეებში, მაგრამ პირობა არ დამირღვევია. სამაგიეროდ, იმ საიუბილეო დღეებში მსგავსი აღიარებით იაკ უუდმიაე გამოვიდა. საიუბილეო საღამოზე მან განაცხადა, სანევეი ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონიაო! ხოლო ორიოდე დღით ადრე რომან რურუას სახლში გამართულ წვეულებაზე თქვა, ჩემი ნება რომ იყოს, მეორე ოქროს მედალს დავამზადებდი და ვიქტორ სანევეს გადავცემდიო!

* * *

თავად ვიქტორ სანევეს არ უყვარს მოსკოვური პერიპეტეების გახსენება:

„გასახსენებელი არაფერია. ჩემი არავის სჯეროდა, არც მწვრთნელს, არც კოლეგებს, არც სპორტის ხელმძღვანელობას მოსკოვში თუ თბილისში. დავრჩი მარტო მე, მაგრამ ჩემთან იყო ღმერთი. ისე, არც გაემტყუნებათ. 35 წლისას მეოთხე ოლიმპიურ თამაშებზე რომ გქონდეს პრეტენზია, თანაც, ფაქტობრივად, ხეიბარ კაცს, ამის წარმოდგენაც კი ძნელია, თანაც სამხტომში. ეს ავადმყოფურ აკვიატებას უფრო ჰგავდა... მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებს კრეერი ედგა სათავეში. ის

ნორმალური მწვრთნელი იყო, მაგრამ ერთობ ცუდი პედაგოგი აღმოჩნდა. ჩვენ ერთმანეთს დავცილდით. ჩემთვის უდიდესი ტრავმა იყო ის, რომ მას, ვისთანაც წლები მიმუშავია, ჩემი არ სჯეროდა და ამას ხმამაღლა აცხადებდა! ისიც კი დამაყვედრეს, ოლიმპიადაზე დაგიშვითო! გახსოვთ, ალბათ, საოლიმპიადოდ შესარჩევ ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დავიკავე — ერთი სანტიმეტრით ნავაგე მესამე პრიზიორთან. არ ვტრაბახობ, მათი დამარცხება არავითარ სიძნელეს არ ნარმოადგენდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ლიცენზია მქონდა, ერთი სანტიმეტრის არსებობაც კი არ ვიცოდი. მაშინ ჩემთვის უმთავრესი იყო, ფეხები ზედმეტად არ დამეტვირთა, გამეკეთებინა მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი — მიმელო ლიცენზია. და კინალამ შემთხვევითობის მსხვერპლი გავხდი. აქაც, ამ ელემენტარულ საკითხშიც, დამეტყო მწვრთნელის ხელი, უფრო სწორედ, უხელობა“...

ასე იყო თუ ისე, სანევი ოლიმპიადაზე მაინც დაუშვეს.

„ალბათ იფიქრეს, შედეგს ვერ მიაღწევს, მაგრამ მეოთხე ოლიმპიადად მაინც ჩაეთვლებაო. ერთი სიტყვით, შემიცოდეს. საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ოლიმპიურ თამაშებში ჩემი მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი და ერთ-ერთ შეხვედრაზე სკკპ ცკ-ში სპორტის მაშინდელი კურატორი, შემდეგში მინისტრი გრამოვი მეუბნება, თითქოს მოწყალეობა გაიღოო: გადავწყვიტეთ, ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზო, რას იტყვი ამის შესახებო. ბუნებრივია, ის ალბათ ელოდა ასეთი შემთხვევისთვის მიღებულ სამადლობელ სიტყვებს. მე კი მოკლედ მოვუჭერი, წინილები შემოდგომაზე დავითვალოთ, ჩვენ კიდევ გვექნება შესაძლებლობა, ამ თემაზე თამაშების შემდეგ ვისაუბროთ-მეთქი... მე არავითარი პრობლემა არ უნდა მქონოდა მოსკოვში. ბავშვი ხომ არ ვიყავი, ლიცენზიისთვის მებრძოლა და ორიენტაცია ოქროზე არ ამელო. მე სხვა სინჯის მედალს არ ვცნობდი, მაგრამ მოსკოვში ყველაფერი უკუღმა აენყო — ჯერ იყო და, თვით შეჯიბრების მსვლელობის დროს ფეხის ტრავმა, შემდეგ კი ეს ქარი. ეჰ, მოკლედ, ნუ გამახსნებთ... შინაგანად ველოდი მოვლენების ასეთ განვითარებას, მაგრამ მაინც უნდა მომეგო და მოვიგებდი კიდევ, რომ არა ეს ავადსახსენებელი ტრავმა და ქარი“...

ტრავმა სანეევს ყველა ოლიმპიადაზე აწუხებდა, მაგრამ ქარი კი ახალი იყო.

რატომ არ მოიცადე, სანამ ქარი ჩადგებოდაო, ერთ ჟურნალისტს უკითხავს. როგორ უნდა მოეცადა! — ნესებით, ცდისთვის სპორტსმენს მხოლოდ ნუთნახევარი ეძლევა და თუ ამ ნუთნახევარში ვერ ჩაეცია, მას ცდა აღარ ეთვლება.

ვის რაში აძლევდა ხელს სანეევის გაჩემპიონება! მაშინ ხომ საბოდიშოდ გაუხდებოდათ საქმე კრეერსაც, გრამოვსაც და კიდევ მრავალ სხვასაც. მაგრამ სანეევის ვერცხლის მედალი არაფრით იყო ნაკლები ჩემპიონობაზე.

რაც შეეხება ჩემპიონს, იააკ უუდმიაეს, რომელსაც არც მოსკოვამდე და არც მოსკოვის შემდეგ თავი არაფრით გამოუჩენია, სანეევი მხოლოდ კეთილად იხსენიებს თავის ნიგნშიც და ყველა ინტერვიუშიც:

„მე ის ძალიან მიყვარს და ძალიან ვაფასებ. მისი რა ბრაღია, რომ ვილაც უსინდისო მოხელებმა ნახტომის გაზომვის დროს მას რამდენიმე სანტიმეტრი აჩუქეს. კიდევ ვიმეორებ, მოსკოვში ყოველგვარი ნამატება-ნამომატების მიუხედავად, ჩემპიონი მე უნდა ვყოფილიყავი. ესტონელი დიდ ტალანტს არ წარმოადგენდა და ჩემთვის მისი დამარცხება არავითარი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. კიდევ ვიმეორებ, იააკი აქ არაფერ შუაშია, ის ძალიან კარგი ბიჭია. ამჟამად ესტონეთის მძლეონობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. ამას წინათ ათენში შევხვდით ერთმანეთს. ძალიან გულთბილად ვისაუბრეთ. თუნდაც იმიტომ ვცემ პატივს, რომ სამი ვაჟიშვილის და ორი გოგონას მამაა.“

2005 წელს სანეევის საიუბილეო დღეებში უუდმიაეს პირადად გაცნობის საშუალება მომეცა და ვადასტურებ: იგი მართლაც ღირსეული კაცია და თავადაც განიცდის ყველაფერს, რაც მოსკოვის ოლიმპიადაზე სამხტომის სექტორში მოხდა.

* * *

ბოლო ნახტომით სანეევს თავისი თავისთვისაც უნდა ეჯობნა, თავისი ასაკისთვისაც, მტკივანი ფეხისთვისაც, ქარისთვისაც, ახალგაზრდა ესტონელისთვისაც და მსაჯებისთვისაც. მან ყველას და ყველაფერს აჯობა მსაჯების გარდა! 17 მეტრი და 24 სანტიმეტრი მეტი იყო უუდმიაეს მიერ სინამდვილეში ნაჩვენებ შედეგზე და სწორედ ამის გამო უკვე გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ოლივეირამ ხალხის დასანახად, ტელეკამერების წინ, უუდმიაეს ყველასათვის გასაგები ყესტით ანიშნა — ჩემპიონი შენ კი არა, სანეევიაო.

ფინალის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთმა ჟურნალისტმა ოლივეირას ჰკითხა, რატომ ჩამოართვა მან ასპარეზობის შემდეგ ასე დემონსტრაციულად ყველა მსაჯს ხელი.

„ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარი შეკითხვა, არსებითად პროვოკაციული იყო. საქმე ისაა, რომ ოლივეირა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, იააკ უუდმიაესთვის გაესწრო, უკანასკნელ ცდებზე ზედმეტ აზარტულობას იჩენდა გამორბენის დროს და ამიტომაც ზედიზედ აბიჯებდა არეკნის ზოლის შემომსაზღვრელ პლასტილინის ლეროს. ბუნებრივია, მას ნახტომები არ ეთვლებოდა. ამასთან, ყოველი წარუმატებლობის შემდეგ მსაჯები იმ ადგილს უჩვენებდნენ,

სადაც სპორტსმენმა პლასტილინს დააბიჯა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ უმსუბუქებდა მას წყენას.

ის, ვინც ასეთ შეკითხვას სთავაზობდა სპორტსმენს, მშვენივრად იყო გათვითცნობიერებული, თუ როგორ განიცდიდა ბრაზილიელი თავის მეორე ოლიმპიურ მარცხს, მან ეს იცოდა და ვარაუდს შემდეგზე ამყარებდა: მანამ იგი ასეთ სტრესულ მდგომარეობაშია, სანამ დიდი ხანი არ გასულა წარუმატებლობიდან, შესაძლოა ათლექს თავდაჭერამ უღალატოსო. ხომ შეიძლებოდა მას მართლაც ეთქვა: მსაჯებისთვის ხელის ჩამორთმევით დემონსტრაციულად ხაზს ვუსვამდი მათდამი ჩემს ირონიას და კიდევ იმას, რომ მიკერძოებულ მსაჯობაში ვდებდი ბრალსო. ერთი შეხედვითაც კარგად ჩანდა, როგორ ეძებდა საჭირო სიტყვებს, როგორი გულისყურით ემზადებოდა ოლივეირა ღირსეული პასუხისთვის, ისე ემზადებოდა, თითქოს კიდევ ერთ, უკანასკნელ ცდაზე გადისო. ძალიან მკაფიოდ ლაპარაკობდა, ხაზგასმული სიდინჯით, საჩვენებელი თითი ტაქტში მიჰყვებოდა სიტყვებს, თითქოს გაუგებარ მონაფეს უტარებს გაკვეთილსო:

— დიახ, მე ჩამოვართვი ხელი მსაჯებს შეჯიბრების შემდეგ. საბჭოთა მსაჯები უაღრესად ობიექტურნი და კორექტულები იყვნენ. თავისი საქმიანობით ისინი ხელს უწყობდნენ შეჯიბრება საინტერესო და პატიოსანი სპორტული ბრძოლით ჩატარებულიყო. ხტომების შემდეგ სპორტსმენები მუდამ ხელს ართმევენ ერთმანეთს. და რაკი მსაჯებს ასპარეზობის ისეთსავე მონაწილეებად ვთვლი, როგორც სპორტსმენებს, საჭიროდ ვცანი მაღლობა მეთქვა მათთვის.

ოლივეირას ამ განცხადებას პრესკონფერენციის მონაწილენი ერთსულოვანი აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

მსაჯებს ასპარეზობის ისეთსავე მონაწილეებად ვთვლი, როგორც სპორტსმენებსო! რატომ, ბატონო?! სპორტსმენი სპორტსმენია, მსაჯი — მსაჯი. იცოდა, ოლივეირამ, რასაც ამბობდა.

ოლივეირას ამ განცხადებას სანევეი არავითარ კომენტარს არ უკეთებს, მკითხველი კი ალბათ კარგად შეამჩნევს, ბრაზილიელის „სწორი“ სიტყვების მიღმა არსებულ გამჭვირვალე ირონიას, რაც, როგორც ჩანს, ოლივეირას ხასიათის თვისება ყოფილა.

სხვათა შორის, სანევეის პროტესტის მიუხედავად, ოლივეირამ ასპარეზობის დამთავრებისთანავე მიულოცა სანევეს გამარჯვება. ხოლო წინა დღეს, ოლიმპიურ სოფელში ავტოგრაფიც სთხოვა მას!

რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო სანევეი, რამდენად დიდი პატივისცემა უნდა ჰქონოდა მისი ოლივეირას, რომ იგი, ოლიმპიადის სამხტომელთა ტურნირის მთა-



ვარი ფავორიტი, მონრეალის თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო რეკორდის მფლობელი, ასპარეზობის წინა დღეს ავტოგრაფის სათხოვნელად მისულიყო მასთან და ამით თავის დიდბუნებოვნებასთან ერთად დიდი ჩემპიონისადმი თავისი მონივნებაც დაედასტურებინა.

„მცირე ხნის დუმილის შემდეგ ყოაომ განაგრძო:

— რა თქმა უნდა, ძალიან ვდარდობ, რომ ვერ მოვახერხე საპატიო კვარცხლბეკზე იმაზე მაღლა ასვლა, ვიდრე მონრეალში, მაგრამ მეტოქეები დღეს უფრო ძლიერები იყვნენ და ვულოცავ რა იააკ უუდმიამს ოლიმპიურ მედალს, მინდა აღვნიშნო, რომ მსტომელებში აბსოლუტურ ჩემპიონად მე მაინც ვიქტორ სანეევს ვთვლი. ამის შესახებ მას სექტორში ვუთხარი (მართლაც, შეჯიბრების შემდეგ, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყოაომ გამარჯვება მომილოცა) და შემიძლია ახლაც გავიმეორო.

— რას იტყვის ამ განცხადებაზე ოლიმპიური ჩემპიონი? — ჰკითხა რომელიღაც ჟურნალისტმა უუდმიამს.

— მე ვეთანხმები ოლივეირას, — უპასუხა იააკმა, — რაც სანეევმა გააკეთა, იმას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაიმეორებს.

კვლავ გაისმა ტაში. ამ ხმაურში შევედი დარბაზში, სწრაფად მივედი მიკროფონთან და ცივწყალგადასხმულივით წარმოვთქვი ეს სიტყვები:


— დღეს თქვენ იხილეთ ჩემი უკანასკნელი გამოსვლა. დამთავრდა ჩემი სპორტული ცხოვრება და მზად ვარ, ყველა თქვენს კითხვას ვუპასუხო“.

კითხვები ფაქტობრივად აღარავის ჰქონია. ოლივეირამ და უუდმიამ ყველაფერი ნათლად თქვეს, მეტისმეტად ნათლადაც კი.

ეს იყო დიდი და სახელოვანი სპორტული კარიერის მართლა ღირსეული დასასრული.

* * *

ვიქტორ სანეევის ოლიმპიური დებიუტი მეხიკოში შედგა. ჯერ კიდევ ფორმაში იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში, 33 წლის პოლონელი იუზეფ შმიდტი. მას ეკუთვნოდა მსოფლიო რეკორდი — 17.03, რომელსაც 1960 წლიდან ვერავინ ვერაფერი დააკლო (მიუმატა!). მეხიკოში მან უკეთესი შედეგიც აჩვენა, ვიდრე წინა ორ თამაშებზე, რომლებზეც ოქროს მედლები მოიპოვა, მაგრამ 16 მეტრი და 89 სანტიმეტრი მხოლოდ მე-7 ადგილისათვის აღმოჩნდა საკმარისი: ბრძოლა მედლებსათვის მეხიკოში 17 მეტრიდან იწყებოდა. არადა, მთელი 8 წლის წინათ, 1960 წლის 5 აგვისტოს მსოფლიოში პირველმა სწორედ შმიდტმა გადალახა 17-მეტრიანი ზღვა-



ვიქტორ სანევი:
 „მე ორი თვისება
 აღმომაჩნდა, რომლებმაც
 ხელი შემიწყვეს წარმა-
 ტებაში. ერთი თანდაყო-
 ლილია — გამარჯვების
 წყურვილი. 1963 წელს
 ვოლგოგრადული ტირილის
 შემდეგ არაერთი დასანანი
 მარცხი ვინწიე, მაგრამ
 გამარჯვების წყურვილი არ
 გამწვლვბია.“

მეორე თვისება წლე-
 ბის მანძილზე გამოიმუ-
 შავდა და წარმატებათაგან
 გაუცხოება შეიძლება ვუ-
 ნოდოთ. წლების მანძილზე
 ეს ერთგვარ რიტუალად
 მექცა, რომელიც ოლიმპი-
 ადისშემდგომი პირველივე
 ვარჯიშიდან იწყება. ოლიმ-
 პიურ მედალს გვერდზე
 ვდეებ და წარმოვიდგენ,
 რომ ოლიმპიური ჩემპიონი
 და სპორტის დამსახურე-
 ბული ოსტატი კი არა, რი-
 გითი პირველთაწრიგოსანი
 ვარ, რომელიც სპორტის
 ოსტატობის კანდიდატო-
 ბისთვის იბრძვის.“

ვიქტორ სანეევი
და აკოფ კერსელიანი



რი სამხტომში. ოლიმპიადაზე კი ეს პირველად 25 წლის იტალიელმა, შემდგომში კინომსახიობმა ჯუზეპე ჯენტილემ შეძლო: მეხიკოს თამაშების საკვალიფიკაციო წრეში, მესამე ცდაზე მან 17 მეტრი და 10 სანტიმეტრი აჩვენა და ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ჯენტილეს ამ ნახტომით დაიწყო რეკორდების ნამდვილი მექსიკური წვიმა სამხტომში.

მაგრამ საკვალიფიკაციო ტურის შედეგები სანეევისთვის სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა. აი, როგორ იხსენებს იგი საკვალიფიკაციო შეჯიბრებებს თავის წიგნში:

„რაშია საკვალიფიკაციო სტარტების მთელი სირთულე? უკეთეს შემთხვევაში, ნორმატივი პირველსავე ცდაზე, ნერვული და ფიზიკური ენერჯის მინიმალური დანახარჯით უნდა შეასრულო, მაგრამ ხშირად ძალების შენახვის სურვილს იქამდე მივყავართ, რომ სპორტსმენი თითქოს უგულისყუროდ გადის მოთელვას, უგულვებელყოფს გამორბენის რიტმის კიდევ ერთხელ შემონმებას და ან ვერ ახვედრებს არეკნის ზოლს, ან ზედ აბიჯებს. დასკვნა ნათელია: კვალიფიკაციაში წვრილმანები არ არსებობს, ყოველი დეტალი ავტომატიზმამდე უნდა დაიყვანო. თუ სპორტსმენი ზერელედ მოეპყრო ამ საქმეს, იგი მკაცრად ისჯება, ეხარჯება ზედმეტი ცდები, ეხარჯება ნერვული ენერჯია, რაც ასე საჭიროა ძირითადი შეჯიბრებისთვის. სხვათა შორის, ჯენტილეს მიერ კვალიფიკაციის დროს ნაჩვენები მაღალი შედეგი იმით აიხსნება, რომ პირველი ორი ნახტომი მან შეცდომით შეასრულა და მესამეზე უკვე მთელი ძალ-ლონის დაძაბვა დასჭირდა, შეეშინდა, არ დარჩენილიყო ფინალური შეჯიბრების მიღმა. მაგრამ უმჯობესია, ყველაფერი თანმიმდევრულად მოგახსენოთ.

კოლია დუდკინისა და ჩემთვის ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. პირველივე ცდიდან ნორმატივზე ოდნავ შორს გადავხტით და სტადიონიდან წასვლა დავაპირეთ. და უცებ ჯენტილეს ნახტომის შემდეგ ტრიბუნებიდან აპლოდისმენტები გაისმა. აპლოდისმენტები კი არა, ოვაცია მოუწყვეს სპორტსმენს. რა მოხდა? ტაბლოს შევხედეთ, უჩვეულო ციფრები აინთო — 17.10. ახალი მსოფლიო რეკორდი. ასე დაიწყო ჩვენთვის ოლიმპიადა: იუზეფ შმიდტის მსოფლიო რეკორდი, რომელიც 1960 წლიდან ვერავინ შეცვალა, საკვალიფიკაციო ცდაზე დაამხო იტალიელმა ჯუზეპე ჯენტილემ. ხვალ რა იქნება?“

ხვალ იყო ომი. სპორტული ომი. ომი სამხტომის სექტორში.

ომი, რომლის მსვლელობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მეხიკოს სიმალემ და სტადიონზე დაგებულმა ტარტანის საფარმა, რაც სრულიად ახალი ხილი იყო მძლეოსნებისათვის. ერთმაც და მეორემაც ძირეულად შეცვალა მძლეოსნური სპორტული ომების სტატეგიაც და ტაქტიკაც. ზოგი მზად აღმოჩნდა ამ ცვლილებებისათვის, ზოგი — არა.

* * *

„მოთელვის შემდეგ კერსელიანს და კრეერს მივუახლოვდი, ვხედავ, პულს უსინჯავენ ერთმანეთს. რამდენია-მეთქი, ვეკითხები. შევატყვე, შეცბუნდნენ. ას ოციო, მიპასუხეს და მეც გამისინჯეს. ას ოცი მქონდა. გასაგებია, რამდენიმე წუთში ხომ სექტორში ვარ გასასვლელი, თუმცა მათი მდგომარეობაც გასაგებია. სამველიჩი ჩემსავითაა, ოლიმპიადის დებიუტანტია, კრეერი კი ორმაგად ნერვიულობს — კოლიასა და ჩემს გამო.“

უკანასკნელად გამოვესაუბრეთ ერთმანეთს. კრეერი იმ ნიშნებს შემახსენებს, რითაც სტადიონზე უნდა „ვესაუბროთ“ ერთმანეთს. იქ ხომ საშინელი ხმაური იქნება და სიტყვას ვერ გაიგონებ. ბარათსაც მაძლევს, მუყაოს პატარა ნაჭერს, რომელზეც მწვრთნელს ბეჭდური ასოებით გამოუყვანია: „შეასრულე ფართო გამორბენი! ბოლომდე შეინარჩუნე სისწრაფე! ნახტომისას ნუ იჩქარებ!“ ამ მუყაოს ნაჭერს გამორბენის სტარტზე დავდებ. შემდეგ კრეერი კოლიას არიგებს. ამასობაში სექტორშიც გამოგვიძახეს.“

ფინალური წრის პირველსავე ცდაზე ჯენტილე 17 მეტრსა და 22 სანტიმეტრზე გადახტა, კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ოქროს მედალი ჯიბეში დაიგულა. მაგრამ მეორე წრეში ბრაზილიელმა ნელსონ პრუდენსიომ, რომელიც მეხიკომდე თექვსმეტნახევარ მეტრზე შორს არ გადაამხტარა, მთელი 80 სანტიმეტრი მოუმატა პირად მიღწევას, 17 მეტრსა და 15 სანტიმეტრზე შორს გაფრინდა და ლამის ჯენტილესაც გადაასწრო. მესამე ცდაზე ვიქტორ სანეევმა იტალიელს ცივი წყალი გადაასხა: მან ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა ჯენტილეს მიერ რამდენიმე წუთის წინ დამყარებული მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი.

„მესამე ცდა მშვიდად წარიმართა. არავის არავითარი სასწაული არ მოუხდენია და, ვფიქრობ, სწორედ ეს დამეხმარა კარგად განწყობილიყავი ნახტომისთვის. მახსოვს, რამდენიმე იმიტაცია გავაკეთე, რომ იტყვიან, ტექნიკას ვანერვივებდი. ნახტომის წინ მუყაოს ნაკითხვა მოვასწარი. მთავარია — არ ვიჩქარო! კიდევ ერთხელ ვუბრძანე საკუთარ თავს: „ნახტომისას არ იჩქარო!“ — და წინ გავიჭერი. სიმსუბუქე და თავისუფლება, ასეთი გრძნობა დამეუფლა ამ ნახტომის შემდეგ. სიმსუბუქე და თავისუფლება, ხოლო შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდი იყო — 17.23. ჩემში ამას არავითარი ემოციები არ გამოუწვევია, გარდა იმისა, რომ კმაყოფილი დავრჩი კარგად შესრულებული ნახტომის გამო. ასე გავხდი ასპარეზობის ლიდერი. ახლა რვა საუკეთესო მხტომელი ემზადებოდა სამი საფინალო ცდისთვის.“

და კვლავ სიურპრიზები.

მეოთხე ცდაზე 17 მეტრზე შორს მიფრინავს ავსტრალიელი ფილიპ მეი, მეხუთეზე — კოლია დუდკოვი. იმ მომენტში სანეევი პირველზე იყო, დუდკოვი — მესამეზე, კრეერი კი თურმე ასპარეზობის ამ ეტაპზე დასრულებას ნატრობდა. მაგრამ ასპარეზობა გრძელდება და ნახტომისთვის პრუდენსიო ემზადება.

„ახლა უკვე აღარ ვაშორებ მას თვალს — საშიშია. კვლავ სწრაფი გამორბენი და ისევ მსუბუქი ნახტომი-გაფრენა. მე მხოლოდ ცალი თვალი შევავლე, სად დაეშვა — მსაჯები აღარ მჭირდება, ისედაც ვხედავ, გამასწრო ნელსონმა. ასეც არის — ტაბლოზეა 17.27. ერთ დღეში სამი მსოფლიო რეკორდი!“

ორ დღეში კი — სულაც მეოთხეა, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ!

„მართალია, პრუდენსიოსგან სიურპრიზს ველოდი, მაგრამ ნერვები მაინც ვერ დავიმორჩილე, თავგზა ამებნა. „აი, ახლავე დაგიმტკიცებთ!“ — ეს ფიქრი ამეკვიცა. კოსტიუმი გავიძრე, სირბილით გავეშურე გამორბენის ადგილისაკენ და... ნყვეტილი, გაუნონასწორებელი ნახტომი — 16.81. ორმოდან ისე ამოვედი, თითქოს ცივი წყალი გადამასხესო. სიბრაზეც გაქრა, გონებაც გამინათდა. ერთი აზრი მიტრიალებდა: ერთი ცდა კიდევ მრჩებოდა.

არ მინახავს, როგორ ასრულებდნენ ბოლო ნახტომს ფინალის მონაწილენი. ყველაფერს გამოვეთიშე, ძალებს ვიკრებდი. უკნიდან ხალხსა და ლობურას გამოღწეული კრეერის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნათქვამი შემომესმა. მხოლოდ ერთი სიტყვა აღვიქვი: „გააკეთებ!“ ალბათ იმიტომაც აღვიქვი იგი, რომ იგივე ტრიალებდა ჩემს სულშიც. გავაკეთებ. შევძლებ. ახლავე.

ძნელი ცდა გამოდგა. ვიგრძენი, რომ არეკნის ზოლამდე ერთი ნაბიჯი დამაკლდა და ნახტომში, ყოველი აკვრისას „ვინაზლაურებდი“ დაკარგულ სანტიმეტრებს. სილაში ჩავეშვი და მაშინვე მოვიხიდე. რამდენია?..

მექსიკელმა მსაჯმა, სანამ ნახტომის სიგრძეს ტაბლოს გადასცემდა, შემომხედა და ოდნავ შესამჩნევად გამიღიმა. თვალი შევავლე თუ არა მას, მივხვდი, რომ გავიმარჯვე, უნებურად მაღლა ავხტი და ტაშიც შემოვკარი. ტაბლოზე მაშინვე ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელი ციფრები აინთო — 17.39.“

ჯენტილესა და ამერიკელ არტურ უოკერს თითო ცდა კიდევ ჰქონდათ. ჯენტილე ვერაფრით შეგუებოდა, რომ ორჯერ მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ბრინჯაოზე მეტს ვერ სწვდებოდა. უოლკერი 17 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე გადახტა და დუდკინი მეხუთე ადგილზე ჩააჩოჩა; ჯენტილეს კი ზედიზედ მეოთხე ცდა გაუცუდდა და საბოლოოდ იმ პირველი ნახტომის ხარჯზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მსოფლიო რეკორდი იყო, მესამე ადგილს დასჯერდა.



სამხტომში მექსიკური რეკორდების წვიმას თავისი ბოლო ნახტომით წერტილი სანეევმა დაუსვა და მთელი 12 სანტიმეტრით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ნელსონ პრუდენსიოს.

* * *

მეხიკოდან დაბრუნებულმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავისი პირველი სერიოზული ფულით ქათქათა „ვოლგა“ იყიდა და თბილისის ავტონსპექციაში მას ერთი შეხედვით თითქოს არაპრესტიჟული, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხისთვის ყველაზე მაგარი ნომერი მისცეს — 17-39.

მეხიკოს რეკორდების წვიმის შემდეგ მსოფლიო სამხტომში ამინდი რადიკალურად შეიცვალა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სპორტსმენებმა ტაიმ-აუტი აიღეს. აღარაფერი ისმოდა პრუდენსიოსგან, მკვეთრად უკლო ჯენტილემ, მხოლოდ ეპიზოდურად აჩვენებდა ძველებურ შედეგებს სანეევის საუკეთესო მეგობარი დუდკინი, თითქმის აღარ გამოდიოდა შმიდტი, არაფრით გამოუჩენია თავი ამერიკელ უოკერს, აფრიკაში ჩაიკარგა მანსურ დია; ერთადერთი, ვინც სპორტულ სამყაროს თავი შეახსენა, ავსტრალიელი ფილ მეი იყო თავისი 16 მეტრითა და 8 სანტიმეტრით. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ ახლები — კაროლ კორბუ, იორგ დრემელი და ლუის არეტა.

მაგრამ ვერც ახლები და ვერც ძველები 1969 წელს 17-მეტრიან ზღვარს ვერ შესწვდნენ, სანეევი ერთადერთი იყო, რომელიც იმ წელიწადს 17 მეტრზე შორს გადახტა.

1970 წლის სპორტული სეზონის ბოლოს მექსიკური ფინალის ოთხი მონაწილე კვლავ შეხვდა ერთმანეთს პირისპირ. ეს მოხდა ტურინში, მსოფლიო უნივერსიადაზე. თუ პრუდენსიოს მე-8 ადგილს არ მივიღებთ მხედველობაში, ძველმა გვარდიამ კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ძალა: დუდკინი თავისი 17-მეტრიანი ნახტომით მეორე იყო და უკან ჩამოიტოვა დრემელი და კორბუ, ჯენტილემ არეტას აჯობა, გამარჯვება კი, რა თქმა უნდა, სანეევს დარჩა — 17.22.

* * *

ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის რეკორდი სამი წლის განმავლობაში მიუწვდომელი იყო ყველასათვის, სანამ 1971 წელს კუბელმა პედრო პერეს დუენასმა ერთი სანტიმეტრით არ გააუმჯობესა იგი. სანეევმა მეორე წელსვე დაიბრუნა

ნა მსოფლიო რეკორდი, როცა მშობლიურ სოხუმში 17.44 აჩვენა. ამ მსოფლიო რეკორდმაც სამ წელიწადს გაძლო, ვიდრე ახალი ბრაზილიელი არ გამოჩნდა — ჟოაო კარლოს დე ოლივეირა, რომელმაც 1975 წლის 15 ოქტომბერს იმავე მეხიკოში პანამერიკულ თამაშებზე გააუმჯობესა სანევის რეკორდი, თანაც — მთელი 45 სანტიმეტრით!

სანეევმა ოლივეირას სახელი პირველად სწორედ ამის შემდეგ გაიგო. ეს სწორედ ის ოლივეირა გახლავთ, რომელმაც მოსკოვის ოლიმპიადაზე უუდმიადეს ყველასათვის გასაგები ყესტით ანიშნა, ჩემპიონი შენ კი არ ხარ, ვიქტორ სანევი ხარ! მაგრამ მოსკოვამდე ოლივეირა და სანევი მონრეალში შეხვედებიან ერთმანეთს. მონრეალამდე კი სანეევს ისევ ძველ ბრაზილიელთან — პრუდენსიოსთან — მოუწევს ბრძოლა მიუნხენში.

* * *


მიუნხენში, მეხიკოსაგან განსხვავებით, არც ერთი რეკორდი არ დამყარებულა სამსტომში. იმ თამაშებზე „მეხიკოს სამეულის“ ძირითადი მეტოქე იყო მათივე თანატოლი, 27 წლის იორგ დრემელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ოლიმპიადამდე დრემელმა ორჯერ დაამარცხა სანევი საერთაშორისო ასპარეზობებში, მაგრამ, როგორც წესი, სანევი ოლიმპიადისათვის მუდამ საუკეთესო ფორმაში იყო. ეს გახლდათ მისი, როგორც დიდი სპორტსმენის ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება.

„მეხიკოს სახელგანთქმული ოლიმპიური ფინალის რვა მონაწილიდან მიუნხენში ხუთნი ჩავედით: მანსურ დია, ჯუზეპე ჯენტილე, არტურ უოკერი, ნელსონ პრუდენსიო დე მე. მედლების მაძიებელთა რიცხვში სპეციალისტებმა ჩართეს აგრეთვე მრისხანე იორგ დრემელი, კაროლ კორბუ და კუბელი მსოფლიო რეკორდსმენი პერეს დუენიასი. ერთი სიტყვით, შესაბამისი კომპანია იყო: ყველას შედეგი აღემატებოდა 17 მეტრს!“

საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ ჯენტილემ და უოკერმა მაყურებლებში გადაინაცვლეს და ძველი გვარდიიდან სექტორს მხოლოდ 28 წლის პრუდენსიო და 27 წლის სანევი შემორჩნენ.

თუ მეხიკოში სანეევმა ბოლო ცდით მოიგო ოქროს მედალი, მიუნხენში მან პირველსავე ცდაზე გადაწყვიტა ყველაფერი, როცა სამსტომის ისტორიაში მესამე შედეგი აჩვენა — 7 მ და 35 სმ. პირველი ორი საუკეთესო შედეგიდანაც ერთი — ოლიმპიური რეკორდი — მას ეკუთვნოდა; ხოლო მსოფლიო რეკორდი (17.40)

ვიქტორ სანევი:
 „მეხიკოში არავის
 არავითარი სასწაული არ
 მოუხდენია და, ვფიქრობ,
 სწორედ ეს დამეხმარა კარ-
 გად განვწყობილიყავი ნახ-
 ტომისთვის. მახსოვს, რამ-
 დენიმე იმიტაცია გავაკე-
 თე, რომ იტყვიან, ტექნიკას
 ვაწესრიგებდი. ნახტომის
 წინ მუყაოს ნაკითხვა მო-
 ვასწარი. მთავარია — არ
 ვიჩქარო! კიდევ ერთხელ
 ვუბრძანე საკუთარ თავს:
 „ნახტომისას არ იჩქარო!“
 — და წინ გავიჭერი. სიმ-
 სუბუქე და თავისუფლება,
 ასეთი გრძობა დამეფულა
 ამ ნახტომის შემდეგ.
 სიმსუბუქე და თავი-
 სუფლება, ხოლო შედეგი
 ახალი მსოფლიო რეკორდი
 იყო — 17.23.“



ჯერჯერობით კუბელი პერეს დუენიასისა იყო, რომელიც მიუნხენის სამხტომელთა შეჯიბრებას საკვალიფიკაციო წრეშივე გამოაკლდა. ბევრს ეცადნენ მიუნხენში დრემელი და პრუდენსიო, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ 17-მეტრიან ზღვარს გასცდნენ და მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

* * *

სისტემამ ღირსეულად დააფასა საბჭოთა ოლიმპიელთა წარმატებები მიუნხენში. უხვად დარიგდა წოდებები და ორდენები. ექვს დიდ ჩემპიონს კი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი გადაეცა. ვალერი ბორზოვთან, ვასილი ალექსეევთან, ალექსანდრ მედვედთან, ანატოლი როშჩინთან და ლუდმილა პინაევასთან ერთად იგი წილად ხვდა ვიქტორ სანეევს, რომლის წაყვანა საერთოდ არ უნდოდათ მიუნხენში.

სანეევი კი უკვე მონრეალზე ფიქრობდა.

„კრემლში ორდენის გადმოცემისას პირობა დავდე, რომ ყველაფერს გავაკეთებდი მონრეალის თამაშებში ღირსეულად გამოსვლისათვის“.

მიუნხენის გამარჯვება ვიქტორ სანეევს სრულფასოვნად არ მიაჩნდა, რადგან ოქროს მედალი კი მოიპოვა, მაგრამ მსოფლიო რეკორდი ვერ დაიბრუნა. როგორც ჩანს, სპორტის ისტორიას ენება, რომ სანეევს ახალი მსოფლიო რეკორდი სწორედ მშობლიურ სოხუმში დაემყარებინა. ეს მოხდა 1972 წლის 17 ოქტომბერს მისი ქორწილის მესამე დღეს. 14 ოქტომბერს მთელი სოხუმი ზეიმობდა ვიქტორ სანეევისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის, აფხაზი ტატიანა ხვარნიკიას ქორწილს. ქორწილში ვიქტორს ერთი ქიქა შამპანურიც კი არ დაუღევია, რადგან მისი სახელობის ტურნირის გამოტოვება არ უნდოდა.

ვიქტორ სანეევის თასის გათამაშება სოხუმში 1969 წლიდან დაიწყო, მასში ყველა ასაკის სამხტომელები მონაწილეობდნენ და თუ სოხუმში იყო, ვიქტორი შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ ამ ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიეღო. მიუნხენის შემდეგ სწორედ თავისი სახელობის ტურნირზე გადაწყვიტა ვიქტორ სანეევმა მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება და შეძლო კიდევ. მისი შედეგი — 17.44 მთელი ოთხი სანტიმეტრით სჯობდა კუბელის მანამდელ მიღწევას.

საქორწინო საჩუქარი მოგართვით, უთხრა თავისივე სახელობის ტურნირიდან შინ მიბრუნებულმა ვიქტორმა მეუღლეს.

საჩუქარი, რომელიც იმ დღეს ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა თავის ახალშერთულ მეუღლეს მიართვა, დღესაც, მთელი 38 წლის შემდეგ, საქართველოს რეკორდია!



* * *

ეს XXI საუკუნეშია, რომ სამხტომელები 19-მეტრიან ზღურბლზე ალაპარაკდნენ, თორემ მაშინ, XX საუკუნის 80-იან წლებში 17 მეტრზე შორი ყოველი ნახტომი დიდოსტატურად ითვლებოდა. სხვათა შორის, ბრიტანელი ჯონათან ედვარდსი, სიდნეის თამაშების ჩემპიონი, რომლის მიერ 1995 წლის 7 აგვისტოს გეტებორგში დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 18.29 — დღემდე უცვლელია, ვიქტორ სანეევს თავის კუმირად თვლის.

ვიქტორმა მაშინ, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ეს მისი ბოლო რეკორდი იყო. საერთოდაც, მას, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს უკვე ვეტერანად თვლიდნენ, რომელმაც თავისი სიტყვა უკვე თქვა და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მძლეოსნობის ისტორიაში.

„რეკორდზე ფიქრი მერეც არ მასვენებდა. რეალური იყო თუ არა ეს ოცნება? მე მგონი, სავსებით. საკმარისია ითქვას, რომ 1975 წლის შემოდგომისათვის ჩემს აქტივში უკვე იყო 17 მეტრს მიღმა შესრულებული ორმოცდაათზე მეტი ნახტომი, თანაც რეკორდთან მიახლოებულ შედეგებს ისეთ პირობებში ვუჩვენებდი, სადაც არცთუ ისე იოლია მსოფლიო რეკორდის დამყარება: ნიდოვან და რეზინ-ბიტუმის ბილიკებზე, ცივ, ხანდახან წვიმიან ამინდში, შემხვედრი ქარის დროს, ცარიელი ტრიბუნების შემხედვარე და ძლიერი მეტოქეების გარეშე. და მაინც, რეკორდი ხელიდან მისხლტებოდა. მასთან ახლოს ვიყავი საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე, რომელიც 1975 წელს მოსკოვში ჩატარდა. ერთ-ერთი ნახტომისას 17.33-ზე დავეშვი. იმ დროს ლუჟნიკებში მეტოქეობის საბრძოლო ატმოსფერო რომ ყოფილიყო, რეკორდი უეჭველად შეიცვლებოდა, მაგრამ იმ წელიწადსაც ვერ გამინიეს კონკურენცია ჩვენმა ბიჭებმა. სპარტაკიადაზე მეორე პრიზიორი რიგელი ნიკოლაი სინიჩკინი გახდა, მაგრამ მან მთელი 65 სანტიმეტრი წააგო“.

* * *

ხტომებზე, და საერთოდ — მძლეოსნობაზე, არასოდეს უოცნებია. ვინ იცის, როგორ წარმართებოდა სანეევის მომავალი, რომ არა აკოფ კერსელიანი — მისი პირველი მწვრთნელი და მწვრთნელზე მეტი.

აკოფ კერსელიანმა 17 წლის ვიქტორ სანეევი — კურიოზული ამბავია! — კალათბურთის ფარებში „გაცვალა“.

სანეევის სპორტული ბიოგრაფიის დასაწყისი ერთი სევდიანი და ამავე დროს ოპტიმისტური ნოველაა, რომელიც მერე მისი სპორტული გამარჯვებების ეპოპეას დაედო საფუძვლად.

„მშობლები სტავროპოლის მხარეში, ქალაქ არმავირთან დაიბადნენ. კაზაკები იყვნენ. 1929 წლამდე არმავირში ცხოვრობდნენ. მამისგან გამიგია, რომ ამ მხარეში სანეევების 30-მდე ოჯახი სახლობდა. მეოცე საუკუნის ოციან წლებში, დიდი შიმშილობისას ჩვენი გვარის რამდენიმე ოჯახი მთლიანად განყდა. ჩვენც ძალიან ვიზარალეთ — მშობლებს უამრავი ტკივილის გადატანა მოუხდათ. მე ჩემი მშობლების მეშვიდე შვილი ვარ, მაგრამ ჩემამდე არც ერთი არ შერჩათ. თურმე ჩემს დაბადებაზე აღარც ფიქრობდნენ — ალბათ მაინც ველარ იცოცხლებს და კიდევ ერთი ტრაგედია რატომ უნდა დავიტეხოთ თავზეო. თანაც, დედა უკვე 40 წლისა იყო. ბოლოს ბაბუას დაუყვინია — იქნებ გაატანოსო და ასე გადაწყვეტილა ჩემი დაბადების ბედი. სხვათა შორის, სოხუმში დასახლების ინიციატივაც პაპასგან მოდიოდა — შიმშილს გამოექცნენ, მთელი ოჯახი აიყარა და სოხუმში ჩამოვიდნენ. ეს 1929 წელს მოხდა.“

ბავშვობა მძიმე ჰქონდა, გაუხარელი. დედა ლოგინად ჩავარდნილ მამას უვლიდა და თან მუშაობდა. მეხუთე კლასში იყო ვიქტორი, სკოლა-ინტერნატში რომ მიაბარეს. ძალიან უჭირდათ და იმიტომ. ექვსი წელი ნატრობდა მშობლიურ ალერსს. მაგრამ მერე და მერე ბავშვებსაც შეეთვისა და აღმზრდელებსაც.

სკოლა-ინტერნატმა ნაადრევად დააკაცა, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიაჩვია. 15 წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა.

ორი თვის შემდეგ სკოლა-ინტერნატი დაამთავრა და სოხუმის მექანიკურ ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

სკოლა-ინტერნატში ბავშვობიდან თამაშობდა ფეხბურთსა და კალათბურთს. განსაკუთრებით კალათბურთი იზიდავდა — გასაგები მიზეზის გამო. მაღალი იყო და სპორტის ამ სახეობაში ბევრ თანატოლს სჯობდა, საუკეთესო ცენტრდაც ითვლებოდა.

კალათბურთში უკვე ჰქონდა გარკვეული წარმატებები და ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა, როცა სოხუმის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორმა ტაისია მალიგინამ იგი აკოფ კერსელიანს აჩვენა:

„ფეხბურთს კალათბურთის მოედანზე ვთამაშობდით. კარებად ფარის ძელებს ვიყენებდით. და აი, ერთ-ერთი ასეთი მატჩის დროს, როცა საკმაოდ მარჯვედ გადავახტი დავარდნილ მეტოქეს, ტაისია პეტროვნას ხმა მომესმა, თავისკენ მიხმობდა. მის გვერდით ხმელხმელი კაცი იდგა. პირველი რაც თვალში მეცა, მისი ძალზე კეთილი, ოდნავ მოჭუტული თვალები იყო.“

— გაიცანით, აკოფ სამველიჩი, ჩვენი ჩემპიონი! შენ კი, ვიქტორ, გვაჩვენე ერთი, როგორ ხტები.

მე რამდენჯერმე გამოვქანდი და სიგრძეზე გადავხტი. კერსელიანმა — ის ხმელ-ხმელი კაცი სწორედ აკოფ კერსელიანი იყო, — თავის ჯგუფში მიმიწვია. მისი მიწვევა დიდი ენთუზიაზმით არ მიმიღია, მაჭჩი მქონდა დასამთავრებელი...

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მაინც მივედი სტადიონზე. მძლეოსნობისა თავიდან ვერა ვავიგე რა. ფეხბურთში ყველაფერი ნათელი იყო: აჰა ბურთი, აჰა კარები. აქ კი ზოგი დარბოდა, ზოგი ხტებოდა, ზოგი რალაცას ტყორცნიდა.


შეიძლება ვინმემ იკითხოს, მერედა რა მოხდა, რა არის განსაკუთრებული ამ ეპიზოდში? როგორ, განა ხშირად ამჩნევენ სკოლის დირექტორები თავის მოსწავლეებში სპორტისადმი მიდრეკილებას და განა ხშირად უწევენ მათ რეკომენდაციას ბავშვთა სპორტული სკოლის მწვრთნელთან?! მე სკოლას მალე გამოვეთხოვე და განთიადში, ინტერნატში გადავედი, მაგრამ ის შემთხვევა და ის როლი, რომელიც ტაისია პეტროვნამ შეასრულა თავისი ერთ-ერთი მოწაფის ბედის განსაზღვრაში, მუდამ მემახსოვრება.“

კერსელიანი და სანეევი მალე დამეგობრდნენ. სამეელიჩი, ასე ეძახდა ვიქტორი კერსელიანს, კალათბურთის მწვრთნელთან მივიდა და სანეევი დამითმო, სთხოვა. კალათბურთიდან მძლეოსნობაში წასვლა მისმა მეგობარმა კოტე ნარმანიამაც გადაწყვეტინა, რომლის და მორბენალი იყო და სწორედ კერსელიანთან ვარჯიშობდა.

ვიქტორ სანეევის პირველი ოფიციალური ტურნირი 1962 წელს გამართული სოხუმის სტუდენტური პირველობა იყო, რომელშიც მეთექვსმეტე საბჭოთა კონკურსგარეშე დაუშვეს. მის მიერ სამხტომში ნაჩვენები შედეგი — 13.28 — მეორე ადგილს შეესაბამებოდა უფროსებს შორის.

ასე დაიწყო მისი სახელოვანი სპორტული გზა ოლიმპიური დიდებისაკენ, რომელიც სულაც არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი; მეტიც — ეს გზა მარცხითა და ცრემლებით დაიწყო.

„განსაკუთრებით კარგად მახსოვს ჩემი ერთ-ერთი პირველი დიდი შეჯიბრება — მოსწავლეთა 1963 წლის საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც ვოლგოგრადში ჩატარდა. აქ ფინალური სტარტები იმართებოდა და ათასზე მეტი ბავშვი შეიკრიბა ქვეყნის ყოველი კუთხიდან. დამამახსოვრდა სპარტაკიადის უჩვეულოდ საზეიმო გახსნა — ასე ახლოს პირველად ვნახე საპატიო სტუმრები — საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი-კოსმონავტი გერმან ტიტოვი და სახელგანთქმული მძლეოსნები, ოლიმპიური ჩემპიონები ვლადიმირ კუცი და პიოტრ ბოლოტნიკოვი, მსოფლიო რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში ტატიანა შჩელკანოვა. ერთი სიტყვით, ჩემთვის, პროვინციელი ბიჭისთვის ვოლგოგრადში ყველაფერი უჩვეულო იყო, ყველაფერი მალეღებდა და უნებურად კარგი გამოსვლისთვის განმანწყობდა“.



ერთი ასეთი სპორტსმენი მარტოდმარტო შეუქმნის ნებისმიერ ქვეყანას სპორტულ პრესტიჟსა თუ ისტორიას. ღვთის წყალობით, საქართველოს დიდი სპორტსმენები, დიდი ჩემპიონები მუდამ ბევრი ჰყავდა, მაგრამ ვიქტორ სანევი დიდ ჩემპიონთა ფონზეც კი გამოირჩევა.



იმ ხანებში ვიქტორ სანევევი უკვე პირველთანრიგოსანი იყო და ვოლგოგრადის სტარტებადმე საქართველოს ჩემპიონატში სამი სახეობა ჰქონდა მოგებული — 100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა და სამხტომი; თანაც სამხტომში ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 14 მეტრი და 88 სანტიმეტრი. ამ შედეგს იმ დროისათვის არა უშავდა და თუმცა მეტოქეებს საერთოდ არ იცნობდა, სანევევი გულის სიღრმეში მოგებას ვარაუდობდა. მაგრამ ვერ მოიგო.

„დღემდე მახსოვს ყოველი წვრილმანი. მახსოვს, როგორ გავედიტ სექტორში, როგორ დავიწყეთ საცდელი ხტომების შესრულება და როგორ ვადარებდი გუნებაში ჩემს თავს სხვა ბავშვებს — სიმალლით, ფეხის კუნთების სიმაგრით, გამორბენის სისწრაფით. როგორც ჩანს, შიშს დიდი თვალეები აქვს. მომეჩვენა, რომ თანატოლების უმრავლესობა ჩემზე მაღალიც იყო, ღონიერიც და სწრაფიც. მართალია, ახლა ვფიქრობ, რომ ალბათ თითოეულ ჩვენგანს ასე ეჩვენებოდა, რადგანაც მსგავსი განცდები მერეც არაერთხელ გადაგვიტანია.

შეჯიბრება დაიწყო და მეც ოდნავ დავმშვიდდი. ისინი, ვისიც მეშინოდა, ძალიან შორს ვერ ხტებოდნენ და არც მე ვიყავი თეთრი ყვავი. ერთ-ერთი ცდის დროს ჩემს რეკორდს მივუახლოვდი (14 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე გადახტე), ფინალში მოვხვდი და ვლიდერობდი. უბედურება იქიდან მოვიდა, საიდანაც სრულებით არ ველოდი: რსფსრ-ის გუნდის ორმა მხტომელმა გრიშა შტიინბერგმა და მიშა სერედინმა გამისწრეს. ორივენი ჩემზე დაბლები იყვნენ, ამიტომაც თავიდან მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ამ ბიჭებმა ვოლგოგრადში თავიანთი საუკეთესო შედეგი აჩვენეს — 15 მეტრზე შორს გადახტნენ. მე კი მიუხედავად დიდი მონდომებისა, მაინც მესამე ადგილზე დავრჩი.

საშინლად ავფორიაქდი. როგორ მსურდა რომ მომეგო! კიდევ კარგი, დაჯილდოებადმე 20 წუთი რჩებოდა. სათადარიგო მინდორზე განვმარტოვდი და ავტირდი. არც მანამდე, არც მერე, წაგების გამო არ მიტირია. ალბათ, ამიტომაც დამამახსოვრდა ეს წარუმატებლობა მთელი ცხოვრების მანძილზე“.

ტირილი აღარ, მაგრამ მარცხი ვიქტორ სანევევს არ მოკლებია. თავის წიგნში იმასაც კი ამბობს, დამარცხებებმა გამოანართო ჩემი სპორტული ხასიათი და დანვრილებით მოუთხრობს მკითხველს თავის პირველ დამარცხებებზე, არანაკლები დანვრილებით, ვიდრე ამას თავისი ოლიმპიური გამარჯვებების შემთხვევაში აკეთებს.

* * *

ვოლგოგრადული ტირილით დამთავრდა სანევევის სიყმაწვილის პერიოდი და იგი იუნიორებში გადავიდა. მოსწავლეთა სპარტაკიადის შემდეგ მან და აკოფ კერ-



სელიანმა ძირითადი ყურადღება ხტომის ტექნიკის დახვეწაზე გაამახვილეს. 1964 წლის გაზაფხულზე სანეემა 15.42. აჩვენა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივს მხოლოდ 33 სანტიმეტრით ჩამოუვარდებოდა და უფლებას აძლევდა მას იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში მოხვედრაზე ეფიქრა. იმის მიუხედავად, რომ სანეევი სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებას ესწრაფოდა, მწვრთნელმა ურჩია მას, თავიდან აეცილებინა ტრავმების საშიშროება, არ დაეწყო ორი კურდღლის დევნა და მხოლოდ ნაკრებში მოხვედრაზე ეზრუნა.

მართლაც, სანეევი საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში შეიყვანეს და იგი თავის პირველ საერთაშორისო ასპარეზობაზე გაემგზავრა ვარშავაში. აქ მან ერთ-ერთ პირველ ცდაზე პირადი რეკორდი დაამყარა, 15.71-ზე გადახტა და ოსტატის ნორმატივამდე სულ რაღაც 4 სანტიმეტრი დააკლდა. თავისი გამოუცდელიობით და სიფიცხით მან საქმე მოთავებულად ჩათვალა, რადგან უცხოელებს ძლიერი სამხტომელები არ ჰყოლიათ, თანაგუნდელი ალექსეი ბორზენკო კი თავისზე სუსტად მიაჩნდა. ალბათ ასეც იყო, მაგრამ ის შეჯიბრება სწორედ ბორზენკომ მოიგო.

„ბორზენკო ჩემზე მხოლოდ ერთი სანტიმეტრით შორს გადახტა, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ უმნიშვნელო სხვაობამ მისი ოქროს მედალი ჩემი ვერცხლის მედლისაგან გამოიჯნა. ამგვარად, ჩემსავე მწარე მაგალითზე დავრწმუნდი იმ სპორტულ ჭეშმარიტებაში, რომელიც შემდგომში ხშირად მესმოდა ჩემი მეორე მწვრთნელის ვიტოლდ კრეერისაგან“.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვიტოლდ კრეერი სანეევამდე საუკეთესო საბჭოთა სამხტომელი იყო. მან სამ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა — მელბურნში, რომსა და ტოკიოში — და ორჯერ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მერე იგი საბჭოთა სამხტომელთა ნაკრების გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს და სანეევის მთელი სპორტული კარიერის მანძილზე მის დამრიგებლად ითვლებოდა. იგი ავტორია წიგნებისა „სამხტომი“ და „ვეძებ თანამოაზრეს“. კერსელიანი კვლავ დარჩა სანეევის პირად მწვრთნელად, კრეერი კი, თუ სანეევი შეკრებაზე არ ჰყავდა, მინერ-მონერით აძლევდა რჩევა-დარიგებებს მას და შეიძლება ითქვას, რომ ამ სამეულის კოორდინირებულმა თანამშრომლობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა სანეევის ოლიმპიურ წარმატებებში.

ვარშავიდან სანეევი ორი ვერცხლის მედლით დაბრუნდა — სამხტომსა და სიგრძეზე ხტომაში. თუმცა იგი ამ შედეგს გამარჯვებად არ აღიქვამდა, ფაქტია, რომ იგი ერთადერთი იყო საქართველოს წარმომადგენელთაგან, რომელმაც იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე ორი მედალი მოიპოვა.

იმ წლის 3 ოქტომბერს ვიქტორ სანეევს 19 წელი შეუსრულდა და უფროსების კატეგორიაში გადავიდა. ამ რანგში მისი პირველი ასპარეზობა 1964 წლის საქართველოს ჩემპიონატი იყო, რომელიც თბილისში გაიმართა. იმ ტურნირში სანეევმა 15.78. აჩვენა და როგორც იქნა, მიაღწია სანუკვარ მიზანს — საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი გახდა. ამავე დროს მან საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა, თანაც არა მარტო სამხტომში, არამედ სიგრძეზე ხტომაშიც.

მაგრამ ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ორ წელიწადზე მეტი სანეევს თავისი შედეგები აღარ გაუუმჯობესებია. ის კი არა, ლამის საერთოდაც დაანება სპორტს თავი. მიზეზი — კოჭ-წვივის სახსრის უმძიმესი ტრავმა, რომელიც ამიერიდან მეტ-ნაკლები სიმწვავეთ მისი განუყრელი თანამგზავრი იქნება მთელი მისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე და დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგაც. სამხტომში ერთ-ერთი ყველაზე ტრავმასაშიში დისციპლინაა. მეორე არეკნის დროს ფეხზე წამის მესაედებში ერთ ტონამდე დატვირთვა მოდის...

* * *

სპორტისათვის მეორედ ვიქტორ სანეევი 1967 წელს დაიბადა.

„ეს ოლიმპიადისწინა წელიწადი ძალიან ჰგავდა 1964 წელს. გაზაფხულზე მაშინდელივით წარმატებით გამოვედი შინ, ზაფხულში დავმარცხდი და მხოლოდ შემოდგომით შევეძელი დაკარგულის ანაზღაურება. მაგრამ განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად ეს ხდებოდა ახალ, წინასაოლიმპიადო დონეზე. და ჩემს წინაშე მდგარი ამოცანები ახლოსაც ვერ მივიდოდა 19 წლის ვიტია სანეევის წინაშე მდგარ ამოცანებთან“.

ბევრი, ბევრი კი არა, ყველაფერი იყო დამოკიდებული იმაზე, როგორ შეძლებდა მძიმე ტრავმის შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებული სანეევი ფორმის აღდგენას, მიუახლოვდებოდა თუ არა იგი თავისივე ტრავმამდელ შედეგებს, გააუმჯობესებდა თუ არა მათ და თუ გააუმჯობესებდა, როდის.

„პირველი შეჯიბრება, რომელშიც მე კოჭ-წვივის სახსრის მწვავე ტრავმის შემდეგ მივიღე მონაწილეობა, ლესელიძეში გამართული სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საგაზაფხულო პირველობა იყო. მეც და ჩემი მწვრთნელიც უსაშველოდ ვვლავდით. როგორ დავუბრუნდები სახტომ სექტორს? როგორ იმოქმედა ტრავმამ ჩემს მომზადებაზე და გაუძლებს თუ არა ფეხი შეჯიბრების დაძაბულობას?“

ყველაფერი კარგად დასრულდა. პირველსავე შეჯიბრებაში სანეევმა ტრავმამდელზე უკეთესი შედეგები აჩვენა — 7.62 სიგრძეზე ხტომაში და 16.32 სამხტომში. ორი თვის შემდეგ, მაისში მან შედეგები კიდევ უფრო გააუმჯობესა — 1967 წლის

მაისში ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდების მატჩში იგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა. სიგრძეზე ხტომაში მან 7.90 აჩვენა, სამხტომში კი — 16.40. ამის შემდეგ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვიქტორ სანეევი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანეს და იგი ვიტოლდ კრეერის ხელმძღვანელობით თავისი პირველი ოლიმპიადისთვის მზადებას შეუდგა. ასე მოვიდა 22 წლის სანეევი დიდ სპორტში.

* * *

1975 წელს მოსკოვში გამოიცა ვიქტორ სანეევის წიგნი „საფეხურები კვარცხლბეკისკენ“, რომელშიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ახალგაზრდობას თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს. გამოცდილება და სხვისთვის გასაზიარებელი ცოდნა კი სანეევს უკვე მაშინ ძალიან ბევრი ჰქონდა.

ამერიკული ჟურნალი „ტრეკ ენდ ფილდ ნიუს“ იმავე 1975 წლის ოქტომბერში წერდა:

„ჩვენ აქამდე ვერ ვაცნობიერებთ, თუ რა დონის სპორტსმენია ვიქტორ სანეევი. არადა, მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მძლეოსანი. მოქმედ სპორტსმენთაგან იშვიათად თუ გაუგონია ვინმეს ასეთი შეფასება საკუთარ თავზე, მაგრამ სანეევი ამას იმსახურებს.“

საბჭოთა მძლეოსანს აგერ უკვე მრავალი წელია ბადალი არ ჰყავს დიდ შეჯიბრებებში. ჩვენი ჟურნალი მეშვიდე წელია ზედიზედ ასახელებს მას მსოფლის საუკეთესო სპორტსმენად სამხტომში. ეჭვგარეშეა, რომ მისთვის არც ეს წელიწადი იქნება გამონაკლისი.

მივუზღაოთ სანეევს თავისი: იგი მონრეალში გამარჯვების ასპროცენტიანი პრეტენდენტია. და თუ ეს მოხდა, ვიქტორ სანეევი მესამე მძლეოსანი იქნება სპორტის ისტორიაში, რომელიც ჩემპიონი გახდა სამ ოლიმპიურ თამაშებში.“


მონრეალის ოლიმპიადამდე ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიუნხენში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა დასურული დარბაზებისთვის. ეს ჩემპიონატი მნიშვნელოვანი იყო, რადგან იქ, თუმცა არა სამხტომის სექტორში, მაგრამ პირადად პირველად შეხვდნენ ერთმანეთს სანეევი და ოლივეირა. ბრაზილიელი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, იგი დასაზვერად იყო ჩამოსული მიუნხენში.

„იმ ჩემპიონატში ბრაზილიელზე დაკვირვებული მაყურებელი არ მყოლია. თვალს არ მაცლიებდა, ჩემს ყოველ მოძრაობას სწავლობდა. მე თავიდანვე მომეწონა“



რომან რურუა,
დიტო შანიძე და
ვიქტორ სანეევი
მეხიკოს ოლიმპიურ
სოფელში.
1968 წელი





მორიგი ნახტომის წინ.
მიუნხენი, 1972 წელი

ნა ეს ახოვანი (186 სმ) ჭაბუკი, რომელსაც საოცრად გულღია და ხალისიანი ხასიათი აღმოაჩნდა. ოლივეირას გუნდ-გუნდად დასდევდნენ ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები. ეტყობა, მათი საზოგადოება ბრაზილიელს არ აკრთობდა, რადგანაც ხალისით იძლეოდა ინტერვიუებს. მოსწონდა საყოველთაო ყურადღება. თავისი არ უნდა დავუკარგოთ ოლივეირას — იგი გამუდმებით მაქებდა ჟურნალისტებთან, ჩემდამი კეთილგანყოფილება მან იმითაც გამოამაყვანა, რომ ბრინჯაოში ჩამოსხმული მორბენლის მომცრო ქანდაკება მაჩუქა.“

მონრეალის ოლიმპიადის წინ სანევი, ტრადიციულად, კვლავ ჩრდილში იყო. ყველა ოლივეირაზე ლაპარაკობდა და მას უწინასწარმეტყველებდა ჩემპიონობას. პერეს დუენიასიც და ამერიკელი ჯეიმს ბატსიც ოქროს მედლის უფრო სერიოზულ კანდიდატებად განიხილებოდნენ, ვიდრე 31 წლის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; მაგრამ ვიქტორ სანევი და მისი მწვრთნელები სხვაგვარად ფიქრობდნენ.

საკვალიფიკაციო წრეში ოლივეირამ მართლაც საუკეთესო შედეგი აჩვენა. სანევი მხოლოდ მეორე იყო.

„და აი, გადამწყვეტი ბრძოლის დღეს დადგა. კრეერი კვლავ მაძლევს ბარათს წარწერით. ორივე ვხვდებით, რომ ახლა ეს უკვე ჩვეული რიტუალია და სხვა არაფერი. ვერავითარი სამახსოვრო ვერ მიშველის, თუ თვითონვე არ დავიოკებ მღელვარებას და დავივინწყებ, რა უნდა გავაკეთო. მაგრამ ამ ბარათს ისე ვიღებ, როგორც თილისმას, რომელიც ჩემთან იყო მეხიკოსა თუ მიუნხენში. მწვრთნელიც ასე უფრო მშვიდად იქნება.“

სექტორში რომ გამოვედი, მივხვდი, ხალხი ჩემს წინააღმდეგ იყო განწყობილი — ტრიბუნებზე ძირითადად ამერიკელები სხედან და თავიანთ მსტომელებს ქომაგობენ. ყველაფერი ისეა, როგორც მეხიკოსა და მიუნხენში, მხოლოდ მეტოქეებია ახალი. „მექსიკელებიდან“ ერთი მელა დავრჩი, მიუნხენის ფინალიდან კი — მხოლოდ კორბუ. გეგმა ასეთია: პირველივე ცდიდან უნდა შევეცადო ლიდერებში მოხვედრას. მერე კი დაუყოვნებლივ „ვუპასუხო“ მონინაალმდეგეთა თითოეულ ცდას. ვიცოდი, რომ ამერიკელებისგან ნებისმიერ ნახტომშია მოსალოდნელი სიურპრიზი. არც ოლივეირასთვის შეიძლება თვალის მოცილება: სიგრძეზე ხტომაში მან მეოთხე ადგილი აიღო და ახლა სამხტომში მხოლოდ მედალზე ფიქრობს.“

პირველი ცდა სანევს გაუცუდდა — არეკნის ზოლს დააბიჯა; წინ კი კუბელი პერესი გავიდა შედეგით 16.81. მეორე ცდაზე სანევი მაგრამ მეორე შედეგი აჩვენა, მაგრამ იქვე ამერიკელმა ჯეიმს ბატსმა იგი მესამე ადგილზე ჩააჩოჩა. ოლივეირას ნახტომები არ წაუვიდა — პირველ ცდაზე, სანევის არ იყოს, არეკნის ზოლს დააბიჯა, მეორე ცდაზე კი მხოლოდ 16.15 აჩვენა. მესამეზე ცდაზე სანევი, პირვე-

ლი მონრეალის ოლიმპიადის მონაწილეთაგან, 17 მეტრზე შორს გადახტა — 17.06. ოლივეირა, როგორც ჩანს, სიგრძეზე ხტომამ გადალალა, როგორც თავის დროზე სანეევი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, და ვიქტორი გრძნობს, რომ ბრაზილიელი მას წინააღმდეგობას ველარ გაუნევს. მაგრამ ოლივეირა საკუთარ დაღლილობასაც გადაახტა და, სანეევის მოლოდინის სანინააღმდეგოდ, მეორე შედეგი აჩვენა. სანეევმა კი მეოთხე ცდაზეც არეკნის ხაზს დააბიჯა. ხოლო ლიდერობა ამერიკელმა იგდო ხელთ — 17.18. სტადიონი ლამის დაინგრა გულშემატკივართა ოვაციისაგან.

„მაგრამ ეს მე მხოლოდ ხელს მაძლევდა: გავბრაზდი და კარგი ნახტომით ვუპასუხე. ორმოდან ამოვდივარ — სიჩუმეა. შემეშინდა კიდეც, ხომ არ დავაბიჯე-მეთქი. არა. ვხედავ, მსაჯს თეთრი ალაში უჭირავს. ესე იგი ნახტომი ჩაითვალა. ტაბლოზე ინთება შედეგი — 17.29.“

მეხუთე ცდაზე ნაჩვენები ამ შედეგით ვიქტორ სანეევმა ერთგვარად შეაჯამა მონრეალის სამხტომელთა ტურნირი. ეს 6 სანტიმეტრით ნაკლები იყო, ვიდრე მის მიერ მიუნხენში ნაჩვენები შედეგი, რომელიც, თავის მხრივ, 4 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა მეხიკოში დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. მაგრამ ეს მხოლოდ სტატისტიკისათვის. მთავარია, რომ ვიქტორ სანეევი მონრეალში მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი!

იმის მიუხედავად, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სანეევს მონრეალიდან უკმარისობის გრძნობა გამოჰყვა იმ თავისი ბოლო ნახტომის გამო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოლო ნახტომი საერთოდ არ შედგა, რადგანაც გამორბენი იმდენად ელვისებური იყო, რომ ვიქტორმა ხაზს ფეხი დააბიჯა, ეს იგრძნო და ნახტომი აღარ დაუმთავრებია. მეორეც — მის კონკურენტებს, ოლივეირასა და ბატსს, რომლებიც სანეევის შემდეგ ხტებოდნენ, კიდეც რჩებოდათ გამარჯვების შანსი და რა გუნებაზე უნდა ყოფილიყო ადამიანი, როდესაც ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მის მეტოქეებზე იყო დამოკიდებული, თავად კი არაფრის შეცვლა და გამოსწორება აღარ შეეძლო.

„ბოლოს და ბოლოს სამხტომი ხომ არც კრივია და არც ჭიდაობა, სადაც მონინააღმდეგეები უშუალო შეხებაში არიან ერთმანეთთან და შეუძლიათ შეზღუდონ მეტოქის მოქმედება და ამა თუ იმ ილეთის გამოყენებით დაამარცხოონ იგი თავისი კუნთების ძალით. სექტორში ჩვენ ყველანი ჩვენ-ჩვენთვის ვხტებით. მონინააღმდეგის მოქმედება ჩვენზე არ არის დამოკიდებული.“

ამიტომაც არ მიიჩნევდა სანეევი თავის გამარჯვებას ისე სრულფასოვნად, როგორც თავიდან ენადა. მან ვერც თავის პირვანდელ ჩანაფიქრს შეასხა ხორცი —

ვიქტორი მზად იყო ოლიმპიადაზე 17 მეტრსა და 60 სანტიმეტრზე გადამსტარიყო. გამარჯვებისათვის საჭირო შედეგი გაცილებით მოკრძალებულა აღმოჩნდა.

„არ მეგონა, ამ ნახტომით თუ გადავწყვიტე ბრძოლის ბედი. ბოლო ცდისთვის ვემზადებოდი. ნახევარი ტერფით უკან გადავანაცვლე გამორბენის სანყისი ადგილი და მთელი ძალით გავქანდი, მაგრამ უკვე ბოლო ნაბიჯებზე ვიგრძენი, რომ ვაბიჯებდი. არაფრით მეგონა, თუ შეჯიბრების ბოლოს ამდენი ძალა შემრჩებოდა. არადა, როგორ მინდოდა მეხიკოში დამყარებული ჩემივე ოლიმპიური რეკორდის გაუმჯობესება. მაგრამ რა გაეწყობა: არ გამომივიდა ნახტომი, რომელიც — ამაში დარწმუნებული ვარ — ყველაზე გრძელი იყო ჩემი ნახტომებიდან.“

* * *

რეკორდი ვიქტორ სანეცხვისათვის, როგორც თვითონ ამბობს, თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ რეკორდის გაუმჯობესებაზე ოცნება მუდამ თან სდევდა.

„მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ, ისევე როგორც მიუნხენის შემდეგ, მსოფლიო რეკორდზე ვოცნებობდი. რა თქმა უნდა, მესმოდა, რომ 18 მეტრს მიახლოებული შედეგის საჩვენებლად მრავალი გარემოების თანხვედრა იყო აუცილებელი. საჭირო იყო ყველა საკონტროლო ვარჯიშში ამემალეებინა შედეგები, მთლიანად მომერჩინა ტრავმები, საუკეთესო სპორტული ფორმისთვის მიმეღწია და საკმარის სიმაღლეზე ძლიერ კომპანიაში შეასპარეზა. სსრკ სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ნერილიც კი გავუგზავნე, რომელშიც ვთხოვდი, რომ მეხიკოში გამოსვლის საშუალება გამოეძებნათ.“

მაგრამ ყველა ეს ოცნება და გარჯა 1977 წლის დამდეგისათვის ამაო აღმოჩნდა. ჩემი სპორტული ფორმა თანდათან უმჯობესდებოდა, როცა კვლავ ამტიკვდა ფეხი; თან ისე, რომ ხტომებზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ტკივილები აუტანელი გახდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ტერფში ერთი ძვალი განუწყვეტილად ეხახუნებოდა მეორეს. სიარულის დროსაც კი იძულებული ვიყავი ფეხი გვერდულად დამედგა. ამას ისიც დაემატა, რომ აქილევსის მყესის იოგები ამტიკვდა.

მაშინ კი გადავწყვიტე ოპერაციის გაკეთება. ძალიან დამეხმარა საკავშირო სპორტკომიტეტი, ფინეთში გამაგზავნა ამ ტიპის ტრავმების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტთან. ოპერაცია 1977 წლის 5 ოქტომბერს გავიკეთე.“

22 ოქტომბერს პირველად წავიდა სავარჯიშოდ. მერე სირბილი დაიწყო. ძალიან დაეხმარა ვალერი ბორზოვი, რომელმაც რამდენიმე მეტად სასარგებლო ვარ-

ჯიში აჩვენა. 1978 წლის ზაფხულისათვის სახტომ სექტორს დაუბრუნდა. თავიდან 16.34 აჩვენა, ზაფხულის ბოლოს კი 17-მეტრიან ზღვარსაც მიუახლოვდა.

* * *

1978 წელს თბილისმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უმასპინძლა მძლეოსნობაში, სწორედ იმას, რომელზეც სიმალლეზე მხტომელმა ვლადიმირ იაშჩენკომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 16-წლიანი პაუზის შემდეგ ვიქტორ სანეევი პირველად (და უკანასკნელად!) გამოდის თბილისში. 16 წლის წინათ, 1962-ში 12 წლის სოხუმელმა ბიჭუნამ აქ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში იასპარეზა და სამხტომთან ერთად 100 მეტრზე რბენა და სიგრძეზე ხტომა მოიგო.

საქართველოს რეკორდები სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში სწორედ სანეევს ეკუთვნოდა.

მშობლიური რესპუბლიკის დედაქალაქში საქართველოს რეკორდსმენი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის რანგში უნდა გამოსულიყო.

ტრავმებით განვალბებულმა სანეევმა თბილისში 17-მეტრიანი ზღვარი დასძლია და მეექვსედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

„შესაძლოა, დღეს უფრო მეტად ვლელავდი, ვიდრე წინა წლებში, რადგან არ მინდოდა, თავი შემერცხვინა ჩემი ქალაქის გულშემატკივრების წინაშე, რომლებიც ასე მტკივნეულად განიცდიან თავისიანის თითოეულ წარუმატებლობას. ძალიან მოხარული ვარ, რომ 17-მეტრიან ზღვარს გადავაბიჯე და ჯილდოდ ოქროს მედალი მოვიპოვე,“ — თქვა სანეევმა თბილისური წარმატების შემდეგ.

ვისაც ჰქონდა სანეევის ამ გამოსვლის ნახვის ბედნიერება, — და მე ეს ბედნიერება მქონდა, — მისი მესხიერებიდან არასოდეს წაიშლება სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის სახე, რომელიც ისე იყო დაძაბული, როგორც არასოდეს, — არც მაშინ, როცა ამ სახეს ტელეეკრანზე ახლო პლანით აჩვენებდნენ ოლიმპიური რეპორტაჟების მსვლელობისას.

სანეევის ის გამარჯვება უფრო მეტი იყო, ვიდრე საკავშირო პირველობის მოგება, ის გამარჯვება დიდი ჩემპიონის მხრიდან საკუთარ გულშემატკივართა წინაშე ვეებერთელა პასუხისმგებლობის გამოვლინება, მათ მიმართ მისი დიდი პატივისცემის დადასტურება და სიყვარულის დამტკიცება იყო.

მერე იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა. სანეევი სპარტაკიადაზე გამარჯვებას და მსოფლიო თასზე გამოსვლის უფლების მოპოვებას გეგმავდა — ეს ერთადერთი ასპარეზობა იყო, რომელშიც მას მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული.

თუ მესიკოში სანე-
ევმა ბოლო ცდით მოიგო
ოქროს მედალი, მიუნხენში
მან პირველსავე ცდაზე
გადანწყვიტა ყველაფერი,
როცა სამხტომის ისტორი-
აში მესამე შედეგი აჩვენა —
7 მ და 35 სმ. პირველი ორი
საუკეთესო შედეგიდანაც
ერთი — ოლიმპიური რე-
კორდი — მას ეკუთვნოდა;
ხოლო მსოფლიო რეკორდი
(17.40) ჯერჯერობით კუ-
ბელი პერეს დუენიასისა
იყო, რომელიც მიუნხენის
სამხტომელთა შეჯიბრებას
საკვალიფიკაციო წრეშივე
გამოაკლდა. ბევრს ეცად-
ნენ მიუნხენში დრემელი და
პრუდენსიო, მაგრამ მხო-
ლოდ ის მოახერხეს, რომ
17-მეტრიან ზღვარს გასც-
დნენ და მეორე და მესამე
ადგილები დაიკავეს.





მაგრამ სპარტაკიადაზე მან მხოლოდ მე-5 ადგილი დაიკავა. მაშინ მისი ამ ჩავარდნის მიზეზებზე ბევრი არაფერი თქმულა პრესაში, თავის ნიგნში კი ვიქტორ სანდვი დანვრილებით მოგვითხრობს ყველაფერს.

სპარტაკიადამდე ბევრი არაფერი იყო დარჩენილი, როცა მას უჩვეულო წინათვრდნობა და განგაში დაეუფლა დედამისის გამო. თბილისიდან რამდენჯერმე დარეკა სოხუმში, მაგრამ არავინ უპასუხა. მალე სოხუმიდან დედის გარდაცვალების ამბავი გააგებინეს.

„მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. დედაზე ვფიქრობდი. გავიხსენე, როგორ გამაცილა მეხიკოში 1968 წელს. მაშინ უკვე გამოცდილი მოგზაური ვიყავი, მაგრამ დედა მაინც ვერ ეგუებოდა ჩემს შორეულ მგზავრობებს. იგი იშვიათად ტოვებდა მშობლიურ სოხუმს და მექსიკა მართლა ცხრა მთას იქით ეგონა...

ვისხენებდი, როგორ ზრუნავდა, რომ შინ ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. ინსტიტუტიდან თუ სტადიონიდან მოსულს, ყველანაირად მიწყობდა ხელს, რომ კარგად მევარჯიშა და დამესვენა... როგორ ზრუნავდა, რომ ჩემი სპორტული ფორმა ყოველთვის სრულ წესრიგში ყოფილიყო, სუფთა და გაუთოებული. დედა ყოველდღე რეცხავდა, თუმცა რამდენჯერ მითქვამს, ასე ხშირად არ არის-მეთქი საჭირო. მას სურდა, სტადიონზე მისი შვილი არა მარტო ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე აკურატული, ყველაზე სუფთა და ყველაზე ღამაზი ყოფილიყო. რამდენ ენერჯიას ხარჯავდა იგი გემრიელი წვენების, ნახარშების, კომპოტების, მურაბების მომზადებაში!..

ვისხენებდი, როგორ იტანჯებოდა ჩემთან ერთად, როცა ტრავმებს ვიშუშებდი. ვისხენებდი მის ბალახებს, ნაყენებს, სველ საფენებს, კომპრესებს. საათზე დახედვა არ მჭირდებოდა: დედას არასოდეს ავინყდებოდა, შეეხსენებინა ჩემთვის სახვევის გამოცვლის, წამლის დაღვევის, მასაჟის გაკეთების დრო.

ჩემი ტკივილი მისი ტკივილი იყო. და აი, დედა აღარ არის.

მართალი უთქვამთ, მდგომარეობიდან გამოსასვლელად შრომაზე კარგი წამალი არ არსებობს. სპარტაკიადამე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. მონუსხულივით დავინყე ვარჯიში. აზრადაც არ გამივლია, რომ მოსკოვში არ გამოვსულიყავი — ჩემი რესპუბლიკის გუნდისთვის არასოდეს მიღალატია“.

სანეევმა საქართველოს გუნდს არ უღალატა და სპარტაკიადაზე მისი ღირსებაც დაიცვა, მაგრამ იქ ნაჩვენები შედეგებით მსოფლიო თასზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა. სპარტაკიადაზე ხელის მოცარვის შემდეგ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ორი სხვა შეჯიბრება ეიმედებოდა — ძმები ზნამენსკების მემორიალი და მსტომელის დღე. დარწმუნებული იყო, რომ ან ერთზე ან მეორეზე აუცილებლად შეძლებდა შე-

საფერისი შედეგების ჩვენებას. მაგრამ კრეერი კანდიდატების შერჩევის პრინციპის ერთგული რჩებოდა — მსოფლიო თასზე საასპარეზოდ მან მწვანე შუქი ვალიუკევიჩს აუნთო, რომელმაც სპარტაკი ადა საკმაოდ მაღალი შედეგით — 17.21 — მოიგო.

„არასოდეს ვენიანალმდეგებოდი შერჩევის სპორტულ პრინციპს, მაგრამ მეგონა, რომ ჩემი შემთხვევა განსაკუთრებული იყო, ჩემს მდგომარეობას გაითვალისწინებდნენ და მსოფლიო თასზე მონაწილეობისთვის ბრძოლის შესაძლებლობას მომცემდნენ, ვთქვათ, პირობას დამიდებდნენ, რომ თუ ზნამენსკების მემორიალზე ან მხტომელის დღეზე 17.30-იან შედეგს ვაჩვენებდი, იმ მთავარ შეჯიბრებაში მივიღებდი მონაწილეობას. მაგრამ კრეერი შეუბრალებელი იყო. ამიტომაც, ბუნებრივია, იმ ორ ტურნირში ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე ვმონაწილეობდა. ახლა მომავალ ოლიმპიადაზე ვფიქრობდი.“

მაგრამ არათუ მსოფლიო თასი, ოლიმპიადაც ჰაერში გამოეკიდა: სანეევი ბოლომდე მაინც ვერ გამოვიდა სტრესიდან და ზნამენსკების მემორიალზე მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა. პირველ და მეორე ადგილებზე გასულემა — იაკ უუდ-მიამ და ევგენი ანიკინმა, რომლებმაც, სხვათა შორის, ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 17.07 — პირდაპირ მიიღეს ოლიმპიადის საგზური, სანეევის ბედი კი მწვრთნელთა საბჭოს უნდა გადაეწყვიტა.

„უკვე პრალის ევროპის ჩემპიონატის მზადებისას, მრავალი წლის მანძილზე პირველად წავანყდი პრობლემას, რომელსაც, სიმართლე გითხრათ, ჩემი ლიდერობის მანძილზე გადავეჩვიე. იმჟამად საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად გადაფრებული ბრძოლების გადატანა მომიხდა. ახალგაზრდა მხტომელებს ვეტოქებოდი, რომელთაც უკვე მოეხვეჭათ სახელი საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. გარდა ანატოლი პისკუნოვისა, რომლის მხრებზეც გადაიარა წინა სეზონის მთელმა სიმძიმემ, ნაკრების კარს ჯიუტად უკაკუნებდნენ გუშინდელი იუნიორი, იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონი, მინსკელი გენადი ვალიუკევიჩი, უკრაინელები ალექსანდრ ლისიჩონოკი, ალექსანდრ იაკოვლევი, გენადი კოვტუნოვი და ესტონელი იაკ უუდმიამ.“

მერე ის იყო, სანეევს ოლიმპიური ჩირალდნის ესტაფეტის ბოლოსწინა ეტაპი შესთავაზეს და აგრძნობინეს, რომ მისი მონაწილეობა მოსკოვის თამაშებში ამით ამოიწურებოდა, რამაც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სასტიკად გააღიზიანა და თავისთვის გადაწყვიტა, რომ თუ ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლებას არ მისცემდნენ, მეჩირალდნის პატივზეც უარი ეთქვა.

„მწვრთნელთა სხდომის წინა დღეს დიდხანს ვესაუბრე კრეერს, გვიან საღამოს სასტუმრო „სპორტთან“ ვსეირნობდით, გუნდი აქ იყო დაბინავებული. კრეერი

მიმტკიცებდა, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობაზე პრეტენზია არ უნდა მქონოდა, მეუბნებოდა, რომ სჯობდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის შარავანდედით მოსილი წავსულიყავი; ექვებოდა, რომ მზად ვიყავი 17.50-17.60 მეტრის ფარგლებში საბრძოლველად, რადგან სწორედ ეს შედეგი მიაჩნდა მას ოლიმპიადაზე სავარაუდოდ. მირჩევდა, რომ თავად მეთქვა უარი თამაშებში მონაწილეობაზე. ახლაც არ ვიცი, რატომ მეუბნებოდა ამას. იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, არ უნდა გამოვსულიყავი, თუ უბრალოდ ასეთი გულწრფელი საუბრით სურდა გაეგო, მართლაც მზად ვიყავი, თუ არა უკანასკნელ შესაძლებლობამდე მებრძოლა. მაინც ვერ შევთანხმდით.“

მოსკოვის ოლიმპიადის წინ, 1980 წლის მარტში, სანეცემა ახალი ამბების სააგენტოს კორეპონდენტს განუცხადა:

„ოლივეირა მოსკოვის თამაშებზე გამარჯვების უპირველეს პრეტენდენტად მიმაჩნია, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ მას გზაზე არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი გადაელობება. რაც შემეხება მე, ჯერ არ ვარ მზად, დავიცვა ერთხელ მოპოვებული და ორჯერ დადასტურებული ჩემი ტიტული, მეტიც — მძიმე დავა მელის ჩემს ახალგაზრდა თანამემამულეებთან ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის შესანარჩუნებლად.“

აღბათ ამიტომაც იყო, რომ ოლიმპიური წლის, 1980 წლის პირველ დღეც, 1 იანვარიც კი სანეცემა ვარჯიშში გაატარა. მან ადგილი ოლიმპიურ ნაკრებშიც შეინარჩუნა და ოლიმპიურ პიედესტალზეც, ხოლო მსოფლიო სპორტის ისტორიაში ისეთი ადგილი დაიმკვიდრა, ცოტას რომ ღირსება.

„მე ორი თვისება აღმომაჩნდა, რომლებმაც ხელი შემინყვეს წარმატებაში. ერთი თანდაყოლილია — გამარჯვების წყურვილი. 1963 წელს ვოლგოგრადული ტირილის შემდეგ არაერთი დასანანი მარცხი ვინვნიე, მაგრამ გამარჯვების წყურვილი არ გამწვანდება.“

მეორე თვისება წლების მანძილზე გამომიმუშავდა და წარმატებათაგან გაუცხოება შეიძლება ვუნოდოთ. წლების მანძილზე ეს ერთგვარ რიტუალად მექცა, რომელიც ოლიმპიადის შემდგომი პირველივე ვარჯიშიდან იწყება. ოლიმპიურ მედალს გვერდზე ვდებ და წარმოვიდგენ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი და სპორტის დამსახურებული ოსტატი კი არა, რიგითი პირველთაწინააღმდეგობის ვარ, რომელიც სპორტის ოსტატობის კანდიდატობისთვის იბრძვის, სპორტის ოსტატობას ესწრაფვის და საერთაშორისო სპორტის ოსტატობაზე ოცნებობს. ამისთვის კი მხოლოდ ერთი გზა არსებობს — შრომა, ანუ როგორც სპორტსმენები ვამბობთ, „პახაობა“. რეცეპტი არცთუ ახალია, მაგრამ უკეთესიც ჯერ არავის მოუგონია.“



ვიქტორ სანევეი
საქართველოს საუკუნის
საუკეთესო სპორტსმენის
პრიზით.
სიდნეი, 2000 წელი



ქართული სპორტის ორი
ლეგენდა —
ნონა ვაფრინდაშვილი
და ვიქტორ სანევეი

* * *

კრეერთან საუბრის მეორე დღეს სანეევმა გაიგო, რომ მწვრთნელთა საბჭოს ნდობა გამოუცხადებია მისთვის და ოლიმპიადაზე იგი ალექსანდრ ბესკროვნის ნაცვლად გამოვიდოდა, რომელიც მესამე იყო ზნამენსკების მემორიალზე.

ვიქტორ სანეევს ახლა მხოლოდ ნდობის გამართლება მართებდა. მთელი მისი ყურადღება ოლიმპიადისათვის სამზადისისაკენ იყო მიმართული.

„რამდენიმე დღით დასასვენებლად სოხუმს გავემგზავრე, შემდეგ კი პოდოლსკში ჩავედი, ოლიმპიადისწინა უკანასკნელ შეკრებაზე.“

ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. ერთი მხრივ, ისე უნდა მევარჯიშა, რომ სპორტული ფორმა ამემალეებინა, რაც მხოლოდ მძიმე საშუალებების დახმარებით იყო შესაძლებელი, მეორე მხრივ, ფეხს უნდა გავფრთხილებოდი. ამ დროს ფსიქოლოგიურადაც მიჭირდა: ნერვული ენერჯიაც უნდა შემენარჩუნებინა; მეტოქეებისთვის უნდა დამემალა, რომ ტრავმირებული ვიყავი... უკან დახევა გვიან იყო, თანაც ისე ვიყავი მიჩვეული შეჯიბრებებში მტკივნეული ფეხით გამოსვლას, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ძლიერი ტკივილი მქონდა თუ ნაკლებად ძლიერი.“

ამას მოჰყვა მოსკოვი, რომელსაც ცრემლების არ სჯერა. არა, სანეევის თვალზე ცრემლი არავის დაუნახავს. ცრემლი მის გულშემატკივართა თვლებში აციმციმდა. როცა ოლიმპიური სტადიონის ბილიკზე ვიქტორ სანეევი გამოჩნდა ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში, ცრემლი ვერც მე შევიკავე, ამ ისტორიული მომენტით მონუსხული ტელევიზორის წინ ფეხზე ავდექი და მრავალთასიანი სტადიონის ოვაციას ჩემი ტაშიც შევუერთე.

აი, როგორ აღწერს იმ ისტორიულ მომენტს თავად ვიქტორი თავის წიგნში „მეოთხე სიმაღლე“, რომელიც 1984 წელს გამოიცა მოსკოვში და რომლიდანაც არის მოხმობილი ძირითადად ჩვენს მიერ ამ ნარკვევში დამონმებული სანეევის სიტყვები:

„თამაშების გახსნის დღეს სტადიონზე უნდა შემომეტანა ოლიმპიური ჩირაღდანი და იმ მეორე ოლიმპიური ჩემპიონისთვის, კალათბურთელ სერგეი ბელოვისთვის გადამეცა. ის, ვისაც ამ ცერემონიალში მონაწილეობა არ მიუღია, ვერ წარმოიდგენს, რა ძალასა და სულიერ მღელვარებას ითხოვს იგი ადამიანისაგან. რეპეტიციაში მონაწილეობაც კი უდიდესი დაძაბულობაა. ეს დიდი პატივიცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. მე ყოველი ჩემი მაშინდელი ნაბიჯი და გულისცემა მახსოვს. თვით იმის გააზრება, რომ წმიდათანმინდა ცეცხლით მორბიხარ ასი ათასი მაყურებლის, მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა თვალწინ, რომ იმ წუთებში შენ შემოგტყერის სპორტის მილიარდი მოყვარული ყველა კონტინენტიდან, ჯერაც გა-

ნუცდელ და სიტყვით აღუწერელ გრძნობას ბადებს იმ მოვლენის მნიშვნელობის გამო, რომელშიც შენ უშუალო მონაწილეობას ლეზულობ.

მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ როდესაც სერგეის ჩირაღდანი გადავეცი, ისეთი გაცნა დაამეფულა, როგორც უკანასკნელი ნახტომის შემდეგ მეხიკოს ოლიმპიადაზე. სერიოზულად უკიდურესად დაძაბულიყო. ჩირაღდანთან ერთად მან ჩემი თითიც ჩაბლუჯა და ხელი ვერაფრით ველარ გაშალა. თუმცა ეს წუთიერი შეფერხება არავის შეუმჩნევია... კიდევ კარგი, ჩემს გამოსვლამდე ექვსი დღე იყო და ასეთი დაძაბულობის შემდეგ ძალების აღდგენას შევძლებდი.“

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, სანეევმა მთლიანად ვერ შეძლო იმ ფიზიკური და ემოციური ენერჯის აღდგენა, რომელიც მან იმ საპატიო მისიის აღსრულებისას დაკარგა; თანაც ორჯერ — გენერალურ რეპეტიციაზე, რომელსაც ასიათასიანი აუდიტორია დაესწრო, და გახსნის ცერემონიაზე.

მოსკოვში არც ერთმა უცხოელმა მონაწილემ არ იცოდა, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში სანეევმა მხოლოდ სამი სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარება შეძლო, ისე სტიკოდა ფეხი. ეს მხოლოდ მისმა თანაგუნდელებმა იცოდნენ.

მაგრამ სანეევისთვის მოსკოვის ოლიმპიადა ბოლო ასპარეზობა იყო და იგი აღარც მტკივან ფეხებს გაფრთხილებია და აღარც თავი დაუზოგავს.

„სტარტამდე ოთხიოდე საათით ადრე პირველად დავრჩი ოთახში მარტო და წერილებისა და დეპეშების გადაკითხვა დავიწყე. ასიოდე ნაცნობი თუ უცნობი წარმატებას მისურვებდა ჩემს მეოთხე ოლიმპიადაზე. ეს ნდობა ძალას მმატებდა. ესე იგი სხვასაც სჯეროდა, რომ კარგად გამოსვლა შემეძლო.“

შეეძლო, მაგრამ იმ დღეს ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო: ტრავმირებული და მტკივანი ფეხები, ქარი, წილისყრა, მსაჯები...

* * *

„ვერავის ვუსაყვედურებ, თუმცა კი ოლიმპიადა, როგორც ახლა იტყვიან, უძრაობის ხანაში ტარდებოდა. უბრალოდ, არ გამიმართლა. წინასწარი ხტომების შემდეგ ნემსი გამიკეთეს მტკივან მუხლში. ერთჯერადი შპრიცი კი საბჭოთა წარმოებისა იყო... დღემდე ვინახავ სამახსოვროდ იმ ნემსს, რომელიც უფრო მახათს ჰკავს. თავდაპირველად ტკივილმა გამიარა, მაგრამ სამაგიეროდ ნანემსარი ამტკივდა. ამასთან, ყველა ცდის შესრულება პირქარში მომიხდა, თანაც რამდენჯერმე დავაბიჯე სასტარტო ზოლამდე საკმაოდ ადრე. მეტოქეებს კი ამინდმა ხელი შეუწყო. ყველაზე სერიოზული კონკურენტი — დიდებული ბრაზილიელი მხტომელი ოლივე-

ირა ჩემს შედეგებს ადევნებდა თვალს, და ამასობაში ჩვენი ახალგაზრდა იააკ უუდ-მიაე გამოეპარა მხედველობიდან“...

მეოთხე ცდის შემდეგ სანეევი ხვდება, რომ კრეერის პროგნოზი 17.50—17.60-ის თაობაზე რამდენადმე გადაჭარბებული აღმოჩნდა. იმ დღეს ასეთი შედეგისთვის არც ერთი მონაწილე არ იყო მზად. უუდმიაეს მესამე ნახტომი — 17.35 ჯერჯერობით საუკეთესოა. მესამე ცდაზევე მას კვალში ჩაუდგა ოლივეირა — 17.22. სანეევი მესამეა — 17.04.

მეოთხე ცდას ლიდერთა პოზიციები არ შეუცვლია — სამივემ არეკნის ზოლს დააბიჯა ფეხი. სხვათაგან 17 მეტრს ვერავინ უწია. მხოლოდ ავსტრალიელმა იან კემპბელმა გააუმჯობესა თავისი შედეგი და 16 მეტრითა და 87 სანტიმეტრით მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

„განუწყვეტილ უბერავდა პირქარი, რაც გვართმევდა დიდ ძალას, ნერვებსა და სანტიმეტრებს. ვცდილობ, განვეწყო მეხუთე ნახტომისათვის ისე, თითქოს უკანასკნელი იყოს. ახლა შეიძლება გადაწყდეს ასპარეზობის ბედი. ამას მიკარნახებს მთელი ჩემი გამოცდილება.“

სტარტზე დიდხანს ვდგავარ, ქარი კი გადარეულივით ქრის. არეკნის ზოლამდე რამდენიმე ნაბიჯილა მქონდა დარჩენილი, რომ ქარში ისე ჩავეფლე, როგორც ბალიშში (მერე ოქმში ამოვიკითხე, რომ სწორედ იმ მომენტში შემხვედრი ქარის სიჩქარემ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია — 2.46 მეტრი წამში). ჩემი შედეგი მხოლოდ 17.07 იყო. გაღებული ძალისხმევითაც და ტექნიკური შესრულებითაც ეს ჩემი საუკეთესო ნახტომი იყო ოლიპიადაზე. ქარი რომ არა...“

შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო. ოლივეირამ და კემპბელმა ორივე ფინალურ ცდაზე არეკნის ზოლს დააბიჯეს. უუდმიაე ორჯერვე 17 მეტრს გასცდა, მაგრამ არც მას მიუმატებია რაიმე თავისი საუკეთესო შედეგისათვის. ყველამ დაამთავრა შეჯიბრება და მეხიკოს მსგავსად მხოლოდ სანეევს დარჩა ერთადერთი, საბოლოო შანსი.

„ბოლო ნახტომის სტარტზე ვიდექი და მთელ ძალებს ვიკრებდი. მოვუმატებ, აუცილებლად მოვუმატებ, თუნდაც სულ დამემტვრეს ფეხები, მაგრამ მოვუმატებ! ყველა წარმატებას მისურვებდა. „მიდი, ვიქტორ, მიდი!“ — მესმოდა ტრიბუნიდან — „გაიხსენე მეხიკო!“ ვერაფრით ვერ მოვიკრიბე გულისყური. თანაც ეს წყეული ქარი... გადავწყვიტე, ბოლომდე მომეცადა. რჩება ნუთი... 20 წამი... 10... 5... დროა! ადგილიდან მოვწყდი და ქარს ვეძგერე.“

ამ ნახტომში ჩავაქსოვე, რაც რამ მქონდა დარჩენილი. ჩავერჭე ქვიშაში და ვგრძნობ, რომ ველარ ვდგები. არ შემიძლია და მორჩა. „ადე, ვიქტორ — ვუბრძა-

ნებ ჩემს თავს, — ადექი! ფორთხვას ხო არ დაინყებ?!“ როგორც იქნა, ავდექი და ორივე ფეხის კოჭლობით ძლივს მივალნიე ძელსკამამდე. შემდეგ რა მოხდა, აღარ მახსოვს. მილოცავდა უუდმიაე, რალაცას მეუბნებოდა ოლივეირა. მე კი მხოლოდ საშინელ ტკივილს ვგრძნობდი მუხლებში. ტაბლოზე ჩემი უკანასკნელი შედეგი ენთო — 17.24 — ვერცხლის მედალი...

იმ ჩემს ბოლო ნახტომებს და მეოთხე ოლიმპიადის ვერცხლის მედალს რომ ვიხსენებ, მინდა-არმინდა მაინც ვუსვამ ჩემს თავს კითხვას: რა იქნებოდა, ბოლო ცდაზე შემხვედრი ქარი რომ არ ყოფილიყო?..“

რა იქნებოდა და...

„ბოლო ცდაზე ქარი რომ არა, სანეევი გაიმარჯვებდა. მან 17.24 აჩვენა საშინელი პირქარის პირობებში. უქარობის შემთხვევაში მისი შედეგი 17.40-17.50 იქნებოდა. და ეს მისი დამსახურებული გამარჯვება იქნებოდა“, — ეს უუდმიაეს სიტყვებია.

სანეევის ნახტომის დროს ქარი გაძლიერდა, უუდმიაემ კი თავისი უშორესი ნახტომი შტილში შეასრულა. სპეციალისტების აზრით, ქარმა ვიქტორს ბოლო ცდაზე 20 სანტიმეტრამდე მანძილი წაართვა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ სიფრთხილის გამო იგი მთელი 20 სანტიმეტრით შორს დახტა ასარეკნი ხაზიდან...


„მერე მე უუდმიაე და ოლივეირა საპატიო კვარცხლბეკზე ვიდექით. მაყურებლები გვესალმებოდნენ. ფლაგშტოკზე აღიმართა ორი საბჭოთა და ერთი ბრაზილიური დროშა. ყლერდა ჩვენი ჰიმნი. თან მიხაროდა და თან სევდა მომეძალა. უკან რჩებოდა სპორტთან მეგობრობის მეოთხედი საუკუნე და ოთხი ოლიმპიადა“...


ყოაო კარლოს დე ოლივეირა: „ვამაყოზ, რომ მეორედ ვდგავარ საპატიო კვარცხლბეკზე იმ სპორტსმენის გვერდით, რომელმაც ჩემი დიციპლინის ისტორიაში ამდენი სასახლო ფურცელი ჩანერა.“

ასე იყო თუ ისე, სანეევის ვერცხლის მედალი გულშემმატკივრებმაც და პრესამაც მის დიდ გამარჯვებად შეაფასეს.

ოლიმპიური თამაშების საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით ლოს-ანჯელესში გამოიცა ზად გრინსპანის წიგნი „ოლიმპიური ისტორიის 100 უდიდესი მომენტი“. წიგნს წამძღვარებული აქვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის წინასიტყვაობა, რაც ამ წიგნს ერთგვარი ოფიციალური გამოცემის სტატუსსაც სძენს. მსოფლიოს უდიდეს ოლიმპიელთა და ოლიმპიურ მოვლენათა გრინსპანისეულ ასეულში ოლიმპიური ისტორიის სხვა სულისშემძვრელ ეპიზოდთა შორის შეტანილია სანეევის ოთხი ოლიმპიური ბატალიაც.

„უურნალისტებისა და გულშემმატკივრების შეფასებები ყოველთვის როდი ემთხვევა სპორტული ჩინოვნიკების აზრს. როცა შინ დავბრუნდი და ჩემი წასვლის





ვიქტორ სანეევის
უკანასკნელი ოლიმპიური
ნასტომი.
მოსკოვი, 1980 წელი

ვიქტორ სანეევი:
„ამ ნასტომში ჩავაქსოვე,
რაც რამ მქონდა დარჩე-
ნილი. ჩავერჭე ქვიშაში
და ვგრძნობ, რომ ველარ
ვდგები. არ შემიძლია და
მორჩა. „აჲ, ვიქტორ —
ვუბრძანებ ჩემს თავს, —
აჲ, ვიქტორ! ფორთხვას ხო არ
დაინყებ?!“ როგორც იქნა,
ავდექი და ორივე ფეხის
კოჭლობით ძლივს მივაღ-
ნიე ძელსკამამდე. შემდეგ
რა მოხდა, აღარ მახსოვს.
მილოცავდა უუდმივად, რა-
ღაცას მეუბნებოდა ოლი-
ვირა. მე კი მხოლოდ საში-
ნელ ტკივილს ვგრძნობდი
მუხლებში. ტაბლოზე ჩემი
უკანასკნელი შედეგი ენ-
თო — 17.24 — ვერცხლის
მედალი...“

ამბავი გამოვაცხადე, სსრ კავშირის სპორტკომიტეტიდან გამოგზავნილი დეპეშა დამენია. მასში მატყობინებდნენ, რომ გამომიყვანეს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობიდან და მომიხსნეს 350-მანეთიანი სტიპენდია „სპორტული შედეგების გაუარესებისათვის“.

— ამ სტიპენდიის ჩამორთმევას სერიოზული გავლენა არ უნდა მოეხდინათ ქვეყნის მატერიალურ კეთილდღეობაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი შეძლებული კაცი იქნებოდა, — ეკითხებიან სანეევს საქინფორმის კორესპონდენტები ვლადიმირ გოლოვინი და შალვა შალოლაშვილი ინტერვიუში, რომელიც 1989 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნდა „ლელოში“.

პასუხად ვიქტორი სევდიანად იღიმება:

— გააჩნია, ვისთან შედარებით. ნებისმიერი ჩემი დასავლელი კოლეგა ჩემზე გაცილებით მდიდარია, რომ არაფერი ვთქვათ ახლანდელი წამყვანი საბჭოთა მძლეოსნების ანაზღაურებაზე. არასოდეს მიმიღია განსაკუთრებული შეღავათები „ზევიდან“. ჩემი აზრით, ყველაფერი, რაც ახლა მაქვს, პატიოსანი შრომით მოვიპოვე. ახლანდელ სამოთახიან ბინას თანდათანობით „ვაგროვებდი“, მორიგ ოლიმპიადაზე ყოველი გამარჯვების შემდეგ.

* * *

თუმცა სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ოლიმპიური ვერცხლის მოპოვების შემდეგ „შედეგების გაუარესებისათვის“ სტიპენდია მოუხსნეს, სანეევის ოლიმპიურმა რეკორდმა მოსკოვის ოლიმპიადასაც გაუძლო. იგი დიდი სპორტიდან ოლიმპიურ რეკორდსმენად წავიდა. ხოლო მისი ოლიმპიური რეკორდი კიდევ ერთ ოლიმპიადას გაუძლებს.

გულდასაწყვეტად გამოტოვებული მსოფლიო თასის გარდა, სანეევმა თავის დისციპლინაში მოიგო (და არაერთხელ!) ყველაფერი, რისი მოგებაც მის დროს შეიძლებოდა:

აი, რას წერს ქართული „სპორტის ენციკლოპედია“:

„სანეევი ვიქტორ. დაიბადა 03.10.1945, სოხუმი. მძლეოსნობა, სამსტომი. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1968, მეხიკო — 17,39 მ; 1972, მიუნხენი — 17,35 მ; 1976, მონრეალი — 17,29 მ) და მეორე პრიზიორი (1980, მოსკოვი — 17,24 მ), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატებში რვაგზის გამარჯვებული (1969-72, 74-77) და ორგზის მეორე პრიზიორი (1971, 78), სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1968-70, 73-74, 78) და მეორე პრიზიორი (1967), სსრკ ხალხთა V (1971) და VI (1975) სპარტა-



კიადების ჩემპიონი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი (1970, 73-75), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1971), სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი (19678 — 17,23 და 17,39 მ; 1972 — 17,44 მ). საუკეთესო პირადი შედეგი — 17,44 მ. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1968, 72, 76). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. სოკის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში და არის ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.“

თანამედროვე საზომით, სანეევის ტიტულებს მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონობა აკლია, მაგრამ მძლეოსანთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ 1983 წელს გაიმართა, როცა სანეევი უკვე ჩამოშორებული იყო აქტიურ სპორტს.

სხვათა შორის, მძლეოსანთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ჰელსინკიში გაიმართა, პირველი ოფიციალური საერთაშორისო ასპარეზობა იყო 1966 წლიდან, რომელშიც საბჭოთა სამხტომელები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ. ოლონდაც! დიდი სპორტიდან წასვლაც ასეთი უნდა, რომ მთელ ქვეყანას დაეტყოს! სანეევის წასვლის შემდეგ საბჭოთა კავშირსა და რუსეთს არათუ მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ორადორი პრიზიორის მეტი აღარავინ ჰყოლია სამხტომში!

მას კი ერთი გაცილებაც არ მოუნწყევს.

რა გაცილება! სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, საპატიო სტუმრად ვინ ჩივის, ტურისტადაც არავინ მიიპატიჟა მძლეოსანთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე.

მისთვის არც სეულის ოლიმპიადაზე მიმავალ მრავალრიცხოვან საბჭოთა დელეგაციაში გამოიძებნა ადგილი. თანაც, თითქოს სასაცილოდ აიგდესო. ვლადივოსტოკში მიიწვიეს ოლიმპიური ჩირალდნის ესტაფეტაში მონაწილეობის მისაღებად, ბოლოს კი, როცა საბჭოთა დელეგაციით დახუნძლულმა თბომავალმა კურსი სეულისაკენ აიღო მას ხელი დაუქნიეს და გზა დაულოცეს... მოსკოვისაკენ. მოსკოვში იგი სრულიად შემთხვევით შეხვდა სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, რომელმაც გაიკვირვა, შენ სეულში რატომ არა ხარო (თავად მეორე დღეს აპირებდა გაფრენას). არავის მიუწვევივარო, სანეევს უპასუხია. თხოვნა უნდა შეგეძლოს, ჩუმად არ უნდა იყოო, ჭკუა დაურიგებია სისტემის ჭანჭიკს.

სანეევს თხოვნა არც მაშინ შეეძლო, არც მანამდე და არც შემდეგ.

აი, რა შემთხვევას იხსენებს ცნობილი პუბლიცისტი, რედაქტორი და დიზაინერი ავთანდილ გურასაშვილი სანეევისადმი მიძღვნილ თავისი წერილში „ბედი“:

„მაშინ, 80-იან წლებში, მანამ ქვეყანა აირეოდა, კინოთეატრ „რუსთაველში“, რომელიდაც ფილმზე ტრადიციულად გრძელი რიგი იდგა. ასევე ტრადიციულად

ურიგოთა რიგი ცალკე დამდგარიყო და ერთმანეთის ჯგლეთაში იყვნენ. ამიტომ რიგინთა რიგი კუს ნაბიჯით, ძლივს შესამჩნევად მიინევდა წინ. იმ რიგინთა რიგში უკვე ყველა ტიტულემბოპოვებული ვიქტორ სანეევიც მოთმინებით იდგა ცოლთან ერთად.

მას, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, შეეძლო მისულიყო კინოთეატრის დირექტორთან, ასევე ოლიმპიურ ჩემპიონთან ნუგზარ ასათიანთან...

მაგრამ არა, ვიქტორ სანეევი ცოლთან ერთად პატროსნად და მოთმინებით რიგინთა რიგში იდგა. სალაროსთან კი ურიგოთა ჯგლეთას ბოლო არ უჩანდა. მინდოდა მეყვირა, რას ჩადით, ხალხო, შეხედეთ, რიგში ვინა დგას, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბუმბერაზი ადამიანი, რომლის მგავსებს ანტიკურ ხანაში უძველოდ არ ტოვებდნენ-მეთქი!

მაგრამ აზრი არ ჰქონდა, ურიგო და უწესო ბიჭბუჭებსა თუ კაცუნებს აბა ვინ რას შეაგნებინებდა?

და დარჩა ვიქტორ სანეევი უბილეთოდ, წყნარად გამოვიდა რიგიდან და განზილებული რუსთაველს შეუყვია, ალბათ შინისკენ.“

* * *

1990 წლის დამდეგს მოსკოვში სხვადასხვა პერიოდის საბჭოთა ოლიმპიელთა შეხვედრა გაიმართა, რომელზეც ვიქტორ სანეევი ზარზეიმით გამოაცხადეს „ყველა დროის ნომერ პირველ საბჭოთა ოლიმპიელად“, საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ ნიკოლაი რუსაკმა კი საჯაროდ განაცხადა, ბარსელონის ოლიმპიადისთვის სანეევს საბჭოთა დელეგაციაში სპატიო სტუმრის ადგილი დაჯავშნული აქვსო.

მაგრამ ბარსელონის თამაშები ისე ჩატარდა, რომ ძნელი გასაგები იყო, სად მთავრდებოდა საბჭოთა კავშირი და სად იწყებოდა საქართველო. სანეევი, რა თქმა უნდა, არავის გახსენებია. ალბათ იმის გამოც, რომ მას უკვე უცხოეთისაკენ ჰქონდა აღებული გეზი.

ვიქტორ სანეევს იმდენი ეძახეს ჟურნალისტებმა სოხუმელი კენგურუ, თბილისელი კენგურუო, რომ ბოლოს მან თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთა და მართლა კენგურუების სამშობლოში ამოყო თავი მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად, ერთადერთი ჩემოდნით ხელში.

„აი, ასე ვარ ჩემს სამშობლოში. ჰო, ჩემს სამშობლოში — ავსტრალიაში. ჩემი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე თითქმის ყველა პუბლიკაციაში მიწო-

დებდნენ ან „კენგურუს აფხაზეთიდან“ ან „კენგურუს საქართველოდან“. კენგურუს სამშობლოც ხომ ავსტრალიაა. ჰოდა, აი, მეც ჩემს სამშობლოში ვარ.“

თუმცა თავიდან იგი ახალ ზელანდიაში აპირებდა ჩასვლას.

სისტიმამ „სოვინტერსპორტის“ სახით ბავშვთა მწვრთნელობა შესთავაზა ველინგტონის ერთ-ერთ სკოლაში. მისი თვითონ ხელფასი დაქვითებისა და საბჭოთა ხაზინაში დადგენილი პროცენტის გადარიცხვის შემდეგ 845 დოლარს შეადგენდა. სანევეი დათანხმდა, რადგან 1991 წლის დასაწყისში ეს მართლაც სერიოზული ფული იყო... თბილისში. ახალ ზელანდიაში კი საშუალოდ სწორედ ამ თანხას უხდინან არცთუ მაღალი კვალიფიკაციის მუშას, ხოლო თვითონ დახმარება უმუშევართათვის 800 დოლარს შეადგენს. თანაც სისტიმამ პოდპოლკოვნიკ სანევეს, რომელსაც მაშინ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სპორტული გუნდის უფროსის თანამდებობა ეკავა, კონტრაქტის გაფორმებამდე, როგორც უცხოეთში სამუშაოდ წასვლის მთავარი პირობა, თადარიგში გასვლა მოსთხოვა, რაც ფაქტობრივად მის უმუშევრად დატოვებას გულისხმობდა. ასეც მოხდა. ახალზელანდიელებმა რალაც მიზეზით „სოვინტერსპორტს“ კონტრაქტზე უარი უთხრეს და სანევეი 210-მანეთიანი პენსიის ამარა დარჩა. სპორტული გუნდის უფროსის თანამდებობაზე კი იგი 540 მანეთს იღებდა (თუმცა მისი თადარიგში გასვლის შემდეგ ხელფასი 800 მანეთამდე გაუზრდიათ). კიდევ კარგი, დაახლოებით იმავე პერიოდში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ოლიმპიურ ჩემპიონებს 300-მანეთიანი პენსიები დაენიშნათ, ხოლო მათთვის, ვინც ოლიმპიური ოქრო ორჯერ და მეტჯერ მოიპოვეს (ე. ი. სანევეისა და თედიშვილისათვის), ამ თანხას კიდევ 100 მანეთი დაემატა.

აქ გამოჩნდნენ ავსტრალიელები, რომლებსაც ამ ამბის მხოლოდ პირველი ნაწილისთვის მოუკრავთ ყური, სახელოვანი ჩემპიონი „ყურის ძირას“ ეგულებოდათ და რამდენიმე კვირით მისი გადაპატიჟება მოუნდომებიათ სალექციოდ. იმის მიუხედავად, რომ სანევეი დედამიწის მეორე მხარეს, თბილისში აღმოჩნდა, ავსტრალიელებს ჩანაფიქრზე ხელი არ აუღიათ და 1991 წლის აპრილში ვიქტორ სანევემა ლექციებით მოიარა სიდნეი, მელბურნი, კანბერა, ადელაიდა და პერტი, არაერთი საინტერესო შეხვედრა მოუწყეს, არაერთი თეორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობა ჩაუტარა იქაურ მსტომელებსა და მათ მწვრთნელებს. იმ ორიოდვე კვირაში სანევემა თავისი რეალური ფასი გაიგო, მიხვდა იმასაც, რომ საქმე „სოვინტერსპორტთან“ აღარასოდეს უნდა დაეჭირა, ხოლო ავსტრალიელებმა, მათი მხრივ, სამსტომის — მძლეოსნობის ამ ურთულესი სახეობის მრავალი ნიუანსი შეიტყვეს, თუმცა კი უკვირდათ, რატომ ეკითხებოდა ყველას, დიდსა თუ პატარას, სამი ოლიმპიადის ჩემპიონი, — მწვრთნელის სამუშაო ხომ არ მოიძებნება ჩემთვისო.



ვიქტორ სანევი
და აკოფ კერსელიანი

„ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩემნაირი ადამიანები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ და ამიტომ ვერ გაეგოთ, რატომ ვეკითხებოდი, თქვენთან სამუშაოს შოვნა თუ შეიძლება-მეთქი.“

საატლანტედ კი დიახაც უნდა გაგვხსენებოდა ვიქტორ სანეევი. არ გაგვახსენდა.

„აქ სანეევმა ოდნავ იყუჩა. სავარძელს ბოლომდე მიეყრდნო და დაბალი ხმით დაუმატა, არც ატლანტაში გახლდით. ისე კი, მაინტერესებდა ჩვენების დებიუტიო“, — წერს ემზარ ზენაიშვილი 1998 წლის 24 ოქტომბერს გაზეთ „სარბიელში“ დაბეჭდილ თავის ინტერვიუში სანეევთან და იქვე დასძენს:

„მესმის თქვენი გულისტკივილი. ატლანტაში თქვენი არყოფნა ჩვენი ეოკის წინდაუხედაობაა, მაგრამ წინ კიდევ ბევრი ოლიმპიური თამაშებია“.

იმას, რასაც ბატონი ემზარ ზენაიშვილი, სეოკის გენერალური მდივანი წინდახედულად „წინდაუხედაობას“ უწოდებს, მრავალი სხვა, უფრო ზუსტი სახელი შეიძლება დაერქვას...

სიდნეის თამაშებზე კი ვიქტორ სანეევი არ იყო უბრალო ავსტრალიელი, უბრალო ქართველი, ან უბრალო სტუმარი. იგი საქართველოს ოლიმპიური ატაშე გახლდათ და ამ ამბავმა იგი კვლავ ალანთო ოლიმპიური სულისკვეთებით, დიდმა ოლიმპიონიკმა კვლავ შეიძინა ოლიმპიური ფუნქცია.

სიდნეის ოლიმპიურ სოფელში ვიქტორ სანეევთან გამართული შეხვედრა ქართული დელეგაციის ყველა წევრისთვის ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სიდნეური შთაბეჭდილება იყო. იმ დღეს, 2000 წლის 19 სექტემბერს, ყურადღებას გადაჩვეულმა სანეევმა მრავალი თბილი სიტყვა მოისმინა. დილიდანვე ოლიმპიური სოფლის საქართველოს უბანში თავი მოიყარა მთელმა ჩვენმა დელეგაციამ — სოფელმაც და ქალაქელმაც. ქალაქელებში ვგულისხმობ ოფიციალურ პირებს, სტუმრებსა თუ ჟურნალისტებს, რომლებიც ოლიმპიურ სოფელში არ ვცხოვრობდით. აქ იყვნენ ქართული სპორტის ვარსკვლავები — ნონა გაფრინდაშვილი და ნინო სალუქვაძე, დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი, რუსუდან სიხარულიძე და თამაზ იმნაიშვილი... აქ იყვნენ ჩვენი ახალგაზრდა ოლიმპიელები, რომელთაც ვიქტორ სანეევი მხოლოდ გაუგონიათ, წიგნებში ნაუკითხავთ ან ძველ კინოქრონიკაში უნახავთ; შემოგვიერთდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც — კუვეიტის მოფაროკავეთა ნაკრების მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ აფციაური და თურქეთის მოკრივეთა ოლიმპიური გუნდის წევრი აკაკი კაკაურიძე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა პირველმა (დიახ, პირველმა პირველმა!) ვიცე-პრეზიდენტმა ვერ შეძლო ჩამოსულიყო საქართვე-

ლოში ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმზე, ვერ დაესწრო იგი საქართველოს საუკუნის სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიასაც და იმდღევანდელი შეხვედრაც სიდნეის ოლიმპიურ სოფელში ამ ხარვეზების გამოსწორების მცდელობა იყო. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა ლეგენდარულ მძლეოსანს კიდევ ერთხელ მიულოცა ჟურნალისტთა რეფერენდუმის შედეგად საქართველოს საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარება და საგანგებო პრიზი და დიპლომი გადასცა. საქართველოს პრეზიდენტის სახელით ვიქტორ სანევეს ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის და ღირსების ორდენები უბოძა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა; სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელს სეოკის საიუბილეო მედალი გადასცა. შემდეგ ვიქტორ სანევეს მიესალმნენ სეოკს საპატიო პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი, საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი სიდნეიში თამაზ იმნაიშვილი, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა; მეც წარმოვთქვი ორიოდე სიტყვა და ვიქტორს მისადმი და სხვა ქართველი ოლიმპიური ჩემპიონებისადმი მიძღვნილი საქართველოს საფოსტო მარკების სრული კომპლექტი მივართვი. საამაყო და დიდადაც მუამაყება, რომ ამ მარკების დიზაინის ავტორი მე გახლავართ ვია ბულაძესთან ერთად.

20 წლით გავახალგაზრდავდიო, თქვა იმ შეხვედრის შემდეგ ვიქტორ სანევეი.

ნეტა მართლა 20 წლის ახალგაზრდა ყოფილიყო ვიქტორ სანევეი და სიდნეის ოლიმპიური სტადიონის სამხტომის სექტორში გამოჩენილიყო საქართველოს ეროვნული გუნდის ფორმით!..

* * *

ვიქტორ სანევეი კიდევ ერთხელ გაახალგაზრდავდა, როცა იგი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით და საქართველოს ოლიმპიური ფონდის დახმარებით საქართველოში მოვიწვიეთ და 60 წლის იუბილე გადავუხადეთ.

სხვა რომც არაფერი გაეკეთებინათ ბადრი პატარკაციშვილსა და მის მიერ დაარსებულ ოლიმპიურ ფონდს, ეს იუბილეც იკმარებდა მისი სახელის საქართველოს ოლიმპიურ ისტორიაში ოქროს ასოებით შესატანად.

ჟურნალ „ოლიმპიელში“ დაიბეჭდა ბადრი პატარკაციშვილის სიტყვები:

„დიდ სარბიელზე მოპოვებული გამარჯვებების წყალობით, სპორტსმენი არღვევს დროისა და სივრცის ფარგლებს და საკაცობრიო ისტორიის კუთვნილება ხდება. სწორედ ასეთი სპორტსმენია ვიქტორ სანეევი. რაოდენ სასიხარულოა და საამაყო, რომ ეს დიდი ათლეტი შენი მიწის შვილია, შენს ქვეყანაში დაბადებული და აღზრდილი — კაცი, რომელმაც საქართველოს სახელი შორს გაიტანა და დიდებით შემოსა. ვიქტორ სანეევის პიროვნება, თავისი ღირსებით, კეთილშობილებით, კაცობითა და უბრალოებით ისევე გამორჩეულია, როგორც მისი სპორტული მიღწევები. ასეთი ადამიანების მაგალითზე უნდა აღიზარდოს ახალი თაობა და ასეთი ადამიანების არსებობა, თავისთავად, ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის, მისი მომავლის სანინდარს წარმოადგენს. იმ სიხარულს, რომლითაც 60 წლის იუბილე მსურს მივულოცო თან სინანულიც ერთვის, რომ ამხელა სპორტსმენი და პიროვნება, ჩვენი დროის ბედუკუღმართობის გამო, შორეულ ქვეყანაში გადასახლდა. მოდით, ვუსურვოთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ვიქტორ სანეევი დაგვიბრუნდეს, რათა თავისი ნიჭი და ენერჯია თავისსავე ქვეყანას მოახმაროს.“

— სამშობლოში კარგად ვარ. მუხლის ტკივილმა მიკლო, ლამისაა ხელჯოხიც გადავადო, — თქვა სანეევმა საქართველოში მისი სტუმრობის ბოლო დღეს. ხელჯოხის გადაგდება მას მართლა მოუწევს — იმ მრავალრიცხოვან საჩუქრებს შორის, რომლებიც იუბილარმა მიიღო, იყო საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ მისთვის საოპერაციოდ გამოყოფილი 35 ათასი ამერიკული დოლარიც...

იუბილის დღეებში სანეევმა მრავალი მილოცვა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. აი, რამდენიმე მათგანი:

„2005 წლის ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში საქართველოში აღინიშნება ერთ-ერთი უდიდესი ოლიმპიური ჩემპიონის, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის ვიქტორ სანეევის 60 წლის იუბილე. „სოხუმელი კენგურუს“ სახელით ცნობილმა სამხტომელმა ვიქტორ სანეევმა მძლეოსნობის და მსოფლიო სპორტის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ოლიმპიურ თამაშებზე ზედიზედ მოპოვებული სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედლით, რაც ნებისმიერი სპორტსმენისთვის განსაკუთრებული მიღწევაა. სპორტული კარიერის განმავლობაში მან დაამყარა სამი მსოფლიო რეკორდი, ორჯერ იყო ევროპის და რვაჯერ ქვეყნის ჩემპიონი. ვიქტორ სანეევი თავისი სპორტული შედეგებით საქართველოში მრავალი ახალგაზრდისთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს დიდ მაგალითს, რომლის კვალსაც მიჰყვებიან სპორტსა თუ ცხოვრებაში.“

ჟაკ როგი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.“

„ძვირფასო ვიქტორ!

ბედნიერ 60 წლისთავს გისურვებ და გილოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს! ვწუხვარ, რომ ვერ ვუერთდები შენს საიუბილეო ღონისძიებებს, მაგრამ ვიმედოვნებ, ეს დღეები შენთვის სასიამოვნო და დასამახსოვრებელი იქნება.

საუკეთესო სურვილებით —

სებასტიან კოე, ოლიმპიური თამაშების ორი ოქროსა (1980,1984) და ორი ვერცხლის (1980, 1984) მედლის მფლობელი; ლონდონი-2012-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.“

„მე ვიცი, რას ნიშნავს ოლიმპიადაზე გამარჯვების სიხარული. ისიც ვიცი, რა ძნელია ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება. შენ ეს სამჯერ მოახერხე. ბოდიში, — ოთხჯერ! გილოცავ 60 წლის იუბილეს, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო!

რობერტ შავლაყაძე, ოლიმპიური ჩემპიონი (1960).“

ვიქტორ სანეევის იუბილემ როგორღაც აღადგინა წარსულსა და აწმყოს შორის უწყურადღებობისა და გულგრილობის გამო ლამის ჩატეხილი ხიდი. საქართველოში გაიზარდა თაობა, რომელთაც ამ იუბილემდე სანეევის სახელი არც კი გაეგონათ ან თუ გაეგონათ, ჩვენიანი არ ეგონათ. განა ნიშანდობლივი არ არის, რომ არაერთი ახალგაზრდა ჟურნალისტი ამ იუბილისადმი მიძღვნილ თავის ალტაცებულ რეპორტაჟებში სანეევს სანაევად იხსენიებდა?

თავად ვიქტორ სანეევი კი, მრავალათასიანი სტადიონების ოვაციას მიჩვეული, ბავშვივით დაბნეული იდგა სტადიონთან შედარებით ერთი ბენო ოპერის თეატრის სცენაზე და ცრემლებს ძლივს იკავებდა, სიხარულის ცრემლებს.

თბილისს ცრემლების სჯერა.

* * *

სამი ოლიმპიური ოქრო და ერთი ვერცხლი!

ასეთი სპორტული ნადავლი სულ ცოტა ოთხ ადამიანს მოაწყობინებდა პირად ცხოვრებას. მაგრამ სანეევი სპორტში პირადი ცხოვრების მოსაწყობად არ ყოფილა. იშვიათია მისებრ მორიდებული და თავმდაბალი ადამიანი. არავინ თავისი დიდი ჩემპიონობით არ შეუწუხებია. და სწორედ ამიტომაც არის დიდი ჩემპიონი.

აი, როგორ უპასუხებს სიდნიდან ვიქტორ სანეევი ჟურნალისტ ზვიად შათირიშვილის კითხვას სატელეფონო ინტერვიუში:

„— ბატონო ვიქტორ, თვლით თუ არა, რომ სამშობლომ ყურადღება დაგაკლოთ? ხომ შეიძლებოდა ნაკლები პრობლემებით გეცხოვრათ?



— არა, ნამდვილად არ ვთვლი, რომ უყურადღებოდ დამტოვეს. როცა დიდი სპორტიდან მიდიხარ, ბუნებრივია, რომ ძველებურად აღარ იქნები პირველ როლებში. მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ვიღებდი იმას, რასაც ვიმსახურებდი. პატივისცემას ყოველთვის ვგრძნობდი ჩემი ხალხისგან და ეს არის მთავარი. 50-ზე მეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, უამრავი მეგობარი მყავს და მათი დახმარების იმედი მაქვს. სხვათა შორის, ასეთი კითხვა ერთმა დიდმა ამერიკელმა სპორტსმენმაც დამისვა, რომელიც ჩემი კარგი მეგობარია და პასუხი რომ მოისმინა, გაუკვირდა, ვერაფრით გამიგო. ჩემთვის მთავარი საქმის ერთგულება იყო. მძლეოსნობა, კერძოდ, სამხტომი სიამოვნებას მანიჭებდა და ამის გამო არავის არაფერს ვთხოვდი. ოთხ ოლიმპიადაზე გამოსვლაც ამიტომ შეეძელი. გასახსენებელიც უამრავი მაქვს — ოთხივე ოლიმპიადა სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასპარეზობა მიხაროდა.“

* * *

ახლა ვიქტორ სანეევი ავსტრალიაშია, სიდნეიში. ერთ ხანს სენტ-ჯოზეფის პრესტიჟულ კოლეჯში მუშაობდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროფესორად. მისმა სანდრომაც ეს კოლეჯი დაამთავრა და მერე სიდნეის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. ერთ დროს სანდრო სანეევი სიდნეის ჩემპიონიც ყოფილა მონაწილეთა შორის, 14 წლისა 14 მეტრზე გადახტა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, თავი დაენებებინა სამხტომისათვის. მამამისი კი ავსტრალიელ ბიჭებში საჩემპიონო მასალას ეძებდა და ეძებს, რომ დიდ სპორტსმენებად გამოძერწოს, როგორც ეს თავის დროზე მისმა მწვრთნელმა გააკეთა.

„ახლა მეოთხე ცხოვრებით ვცხოვრობ. ჯერ იყო ცხოვრება დიდ სპორტამდე, შემდეგ ოც წელზე მეტი პროფესიულ სპორტში ვიყავი, მოსკოვის ოლიმპიადის მერე ეგრეთ ნოდებული საბჭოური ცხოვრება მქონდა, ახლა კი ავსტრალიური“.

საქართველოში კი სანეევი მხოლოდ ატლანტის კრახის შემდეგ მოისაკლისეს, როცა გაირკვა, რომ ქართულ დელეგაციას სწორედ სანეევის გამოცდილებისა და პირადი თვისებები მქონე კაცი აკლდა.

სწორედ იმ დროს კი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, რომელსაც კონტრაქტის ვადა ამოეწურა, პიცას დაატარებდა სიდნეიში და ოლიმპიური მედლების გაყიდვას ცდილობდა.

„კონტრაქტის ვადა გამივიდა და ჩემი მომთაბარეობაც დაიწყო. დიდ სპორტში დიდი შურიანობა და გაუტანლობაა. ჩემი შეფი კოლეჯში ოლიმპიური ჩემპიონი იყო. მან ცოლად ითხოვა ავსტრალიაში ძალიან ცნობილი მორაგბის და. ბუნებრივია,

კარგი სამსახურიც გაახერხა. არა და არ გამიგრძელა კონტრაქტი, დღეს-ხვალ, ცოტა მოითმინე, ცოტა მოიცადეო, სულ მატყუებდა. სჭირდებოდა მას კოლეჯში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი? რა თქმა უნდა, არა. თუმცა მე არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია ვარდა იმისა, მწვრთნელად ვიმუშაო და მოცალეობის ყამს ვითევზაო. ბოლოს ისე გააკეთა, რომ ჩემი გაცილებაც კი არ მოუწყვიათ... ისე, გაცილებაში ბედი ნამდვილად არ მაქვს. დიდი სპორტიდან არც საქართველოში გავუცილებივარ, არც მოსკოვში, აქ კი მწვრთნელობიდანაც არ გამაცილეს. გავიგე, ლევან თედიაშვილის იუბილე მასშტაბურად და კარგად გადაგიხდიათ. ასეც უნდა იყოს“...

ვიქტორ სანევი ეს სიტყვები ამოღებულია მისი ინტერვიუდან, რომელიც სეოკის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ჩაინერა სიდნეიში და რომლის ერთი ფრაგმენტი ზემოთ უკვე დავიმონმეთ. აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი იმ ინტერვიუდან:

„დიდხანს უმუშევარი ვიყავი. თავი მოსაკლავად მქონდა. იქამდეც კი მივედი, გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე, მე, ესა და ეს პიროვნება, ჩემს ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლებს ვყიდი-მეთქი. გამომეხმაურნენ, მაგრამ მუქთად უნდოდათ, ყველაზე მაღალი ფასი, რომელსაც მთავაზობდნენ, 5000 დოლარი იყო. ეს აქ ერთი-ორი თვე გეყოფა. ოჯახის წევრებმაც და აქაურმა ნაცნობებმაც გაყიდვა გადამაფიქრებინეს. ახლა კი სახლებში მანქანით პიცას ვარიგებ. დიას, დიას, პიცას ვარიგებ. წარმომიდგენია, ამას რომ საქართველოში წაიკითხავენ, რას არ გაიფიქრებენ და იტყვიან, რა გაუჭირდა ასეთი, აქ ჩამოვიდესო. ვისთან ჩავიდე, რა ვაკეთო?... სანდრო, რომელიც უკვე 24 წლისაა, ასევე კაფეში დამხმარედ მუშაობს. შედარებით უკეთ იანა მოეწყო. ის სპეციალობით ექიმია, მაგრამ აქ ექიმად ვერ იმუშავენს, თუმცა თავის სპეციალობასთან მაინც ახლოსაა. მე არანაირი სამუშაო არ მეუხერხულება — ვმუშაობ, ხომ არ ვიპარავ.“

1998 წელს ვიქტორ სანევი ათენში, მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში უნახავს ცნობილ ჟურნალისტს გოგი ჩოჩიშვილს და მისი გაჭირვებული ყოფის ამბავი პირველად მან ჩამოიტანა საქართველოში. ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტსა და ავსტრალიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სამუშაოს პოვნაში დახმარებოდნენ სანეევს, მაგრამ ამ თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

„ის კი არა, რამდენიმე წერილი მივწერე ხუან ანტონიო სამარანჩს. ათენში, მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, პირადად ვესაუბრე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ პრიმო ნებოლოს. რომ მომისმინა, იცით



2005 წლის ოქტომბერი.
თბილისის აეროპორტი.
ვიქტორ და იანა სანევეები
ავსტრალიაში
გამგზავრების წინ

რა მითხრა ნებილომ? სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ: „ბოლოს და ბოლოს საქართველოში ხომ არის სპორტის სამინისტრო, ხომ არის ოლიმპიური კომიტეტი? ისინი ვალდებული არიან, შენ და შენნაირ სპორტსმენებს მიხედონ, ბევრი ჰყავთ შენნაირი სპორტსმენი? თუ არ უნდათ ან არ შეუძლიათ იკისრონ ამგვარი მისია, მაშინ მიმართე თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს. ის მაინც გაგებით მოეკიდება შენს მდგომარეობას. ჩემი მოვალეობა ის კი არაა, მძლეონობის ვეტერანებს მივხედო, ამაზე თქვენმა ქვეყანამ იზრუნოს. მე ვალდებული ვარ, მათ მიმართ გამოვიჩინო მაქსიმალური ყურადღება, ვინც დღესაა სპორტში“. აი, ასეთი რჩევა-დარიგება მომცა პრიმო ნებილომ“.

იმავე ინტერვიუში კითხვაზე — „აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?“ — სანევი უპასუხებს:

„რა მნიშვნელობა აქვს, სად მოვკვდები. დღეს საქართველოში — გინდ თბილისში, გინდ სოხუმში ვის ვჭირდები? გარდა ამისა, მე ხომ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია. რამდენიმე წელიც და წავიღებ წერილს. ისე, დასაფლავება ჩემს მშობლიურ მიწაზე მირჩევნია, რა თქმა უნდა“...

სიკვდილზე ფიქრი ჯერ ძალიან ნაადრევია და საამისოც არაფერი გეტყობათო, ინტერვიუერი ეუბნება, სანევი კი:

„რეალისტები უნდა ვიყოთ. ჩემი ჯანმრთელობით, ფაქტობრივად, ნახევარი კაციც აღარ ვარ. ისინი, ვისაც 30-35 წლამდე ჩემსავით თავი გადადებული აქვთ, დიდხანს ვერ ცოცხლობენ. გმირებიც კვდებიან. ეს ასეა. ეს ამერიკის აღმოჩენა არაა.“

ოლიმპიური თამაშების წინ, სიდნეიში მრავალი ლაითბოქსი გაჩნდა დიდ ოლიმპიონიკთა პორტრეტებით. მათ შორის სანევის პორტრეტიც იყო მისივე მექსიკური ნახტომის ფონზე. ვინ იცის, რამდენჯერ ჩაუვლია რომელიმე თავისი პორტრეტის წინ ვიქტორ სანეევს პიციტო ხელდამშვენებულს თუ სევდიანი ფიქრებით გულდამძიმებულს...

ავსტრალიაში ვიქტორ სანევი დიდი გეგმებით აღვსილი წავიდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მის გეგმებს ასრულება არ ეწერა. მისი მეოთხე, ავსტრალიური ცხოვრება ყველა წინაზე მძიმე აღმოჩნდა.

„მეოთხე სიმალის“ ავტორი ალბათ მოძებნის დროს და ძალას, რომ თავისი ავსტრალიური ცხოვრებაც აღწეროს. წიგნის სათაურზე ფიქრი დიდხანს არ მოუწევს. „მეოთხე ცხოვრება“ მისთვის ზედგამოჭრილი იქნება: აკი თავად დაარქვა სანეევმა მეოთხე ცხოვრება თავის ავსტრალიურ პერიოდს, რომელმაც მას მხოლოდ იმედგაცრუება მოუტანა.

„...და ცოტა იღბალი“ — ასე დაასათაურა სანეევმა „მეოთხე სიმაღლის“ ბოლო თავი. სპორტულ იღბალს არასოდეს გაუწევიერებია იგი. როგორც თავად წერს, ერთადერთი შემთხვევა, როცა იღბალი მის მხარეს იყო, მიუნხენში მოხდა, როცა იორგ დრემელს მეხუთე ცდაზე ქარმა შეუშალა ხელი უკეთესი შედეგი ეჩვენებინა.

„სხვა ისეთ შემთხვევას, სპორტული იღბალი რომ მომხმარებოდა ჩემპიონობის მოპოვებაში, ვერ ვიხსენებ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სპორტში არ გამიმართლა. პირიქით, სპორტში მე რთული, მაგრამ ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება განვვლე. საქმე მარტო რეკორდები, გამარჯვებები და მედლები როდია, ან ის, რომ სპორტი დამეხმარა მე, სოხუმელ ყმაწვილს, მეშვიდე შვილს ოჯახში, რომლის მამა პარალიზებული იყო, დედა კი მეეზოვედ მუშაობდა, ცნობილი ადამიანი გავმხდარიყავი და ნახევარი მსოფლიო მომეველო. ჩემს ყველაზე დიდ გამართლებად იმას ვთვლი, რომ ცხოვრების გზაზე მუდამ მხვდებოდნენ გულისხმიერი, კეთილი ხალხი, რომლებიც მეხმარებოდნენ, ავსულიყავი სპორტულ მწვერვალზე და კაცი გავმხდარიყავი.“

** ვიქტორ სანეევის სიტყვები ნარკვევში მოხმობილია მისი წიგნიდან „მეოთხე სიმაღლე“ (ლიტერატურული ჩანაწერი ევგენი ჩენისა, თარგმანი დავით ჭელიძისა, თბილისი, 1987) და მისი მრავალრიცხოვანი ინტერვიუებიდან, რომლებიც ქართულ თუ უცხოურ პრესაში გამოქვეყნდა.*

ვიქტორ სანაევი

დაიბადა 1945 წლის 3 ოქტომბერს სოხუმში. მძლეოსანი, სამსხტომელი. XIX, XX და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1968, მეხიკო — 17,39 მ; 1972, მიუნხენი — 17,35 მ; 1976, მონრეალი — 17,29 მ), XXII ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (1980, მოსკოვი — 17,24 მ), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატებში რვაგზის გამარჯვებული (1969, 71-72, 74-77), სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1968-78), სსრკ ხალხთა V (1971) და VI (1975) სპარტაკიადების ჩემპიონი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი (1970-75), მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971), სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი (1968 — 17,23 და 17,39 მ; 1972 — 17,44 მ). საუკეთესო პირადი შედეგი — 17,44 მ. საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. სოკის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში.



VIKTOR SANEEV

Track and field athlete in the triple jumper, was born on October 3, 1945 in Sokhumi. He is a champion of XIX, XX and XXI Olympic Games (Mexico 1968,- 17,39 m; Munich, 1972 – 17,35 m; Montreal, 1976 – 17,29 m) and silver medalist of the XXII Olympics (Moscow, 1980-17,24 m). He is the eight time winner of European winter and summer championships (1969, 1971-72, 1974-77), six time champion of the USSR (1968-78) and winner of the 5th (1971) and 6th (1975) the USSR sports and athletics meetings. Saneev is a four-time winner of the European Cup (1970-75), champion of the World Students Games (1971) and three-time world record breaker (1968 -17,23 and 17,39 m; 1972- 17,44 m). His best personal result is 17,44 m. Saneev was named the best Georgian sportsman of XX century (golden prize). He was the Honored Master of Sports of the USSR. Saneev was decorated with IOC Order of Honor, Vakh tang Gorgasali Order of the 1st and 2nd classes. He has lived in Australia since 1992.